ჰატვივის ტემანედ მეტი მინდა გიქნა,  
მარამ რომ არა გეგეწეო რა! სულ კვინტოზი.

სულ იგინები! ჭეიშვილას წისკვილივით სულ  
 ღრღნი და ერთსულ წმინდათ ვერ დაგიოქვავს.  
 (ზუჩახა ჭ კიკოლა ისევ ცეცხლავინს და-  
 ჯდებიან. დილვარდისა სან განჯინასთან მივა  
 ჭ სან ყველს საკმაზავს უმრეებს. თან  
 წყრომით ლავარაკობს.) ტვინი ამკმა-  
 რთა ამდენმა ესიამოვნობამ.

კიკოლა

ვინ გეხვეწებს, იჯავრეო. იყავი შე-  
 ნთვის. რას აიუარებებულხარ თავმჯრეილ  
 ქათამივით. (ზუჩახის იცინის)

დილვარდისა

აი, არ გაგაცინოს ღმერთმა.... ჩემი სი-  
 ცოცხლე ამ ოჯახმა დალია და მადლობელი  
 ვი არავინ არის.

კიკოლა

თუ მასეა, რათ წკალავ. გაჩერდი შენთვის.

დილვარდისა

რავა გავჩერდე, რომ ვხედავ ამდენი ჩემი  
 ნაამბგევი წყალს მიაქვს. რავა გავჩერდე! მე  
 თუ არ ვინაღვლე ჩემი ბატონის ოჯახი, სხვამ

ვინ უნდა ინაღულოს? თქვენს ამანა სომ  
კერ დაკტოვებ. ძილსე და გლეჯსზე თუ  
გაქვსთ თვალი თქვენ და თქვენ მთუწავს,  
თვანა გავაკეთო რამეა, სომ არ თუქტობთ.

კიკოლა

თუ მასე გელი გტკივა, რაღათ გვაკედ-  
რებ? აკეთე შერთვის და იყავი.

დიღვანრდისა

ვაკეთებ, აბა, რას ვშვებო? მაგრამ რა!...  
არ მოგეტეს ლხენა ჩემმა ბატონის შვილმა  
იმისთვის ხალათი არ შემოკეროს.

კიკოლა

მეტ მაგას არ გეუბნებო? თავს რათ იტებს  
თუ მასეა?

დიღვანრდისა

რავა არ ვიტებსო. ამდენ ჩემ ნანამაგარს  
ტეტხლზე სომ კერ დავადებ. ჩემი ბატონის  
შვილები და იმათი რჯახი სულ ჩემი ხელით  
არიან წინ წამოწეული.

კიკოლა

მე შენი ვერა გამოიარა, ხან იმას ვაკანობ,

უნდა ვაკეთო. ხან—ჩათათ, ჩისგულისათვის,  
კინ შამადლისა?... (შეცოდებით) ან კი რათ  
გაგამტყუნო, დედკაცი ხარ, ქათმის ჭკუას გა-  
ძვს. (ზურაბის იტინის.)

### დიღვანდისა

წადით აქედან, წადით. ტყუილა გულს ნუ  
მიხეთქავთ. ჭირმა გაგაწყოსთ.

### გამოსვლა 5.

მწუემსი (შემოვა სელში გოგლი  
ხასრე უჭირავს & ცეცხლს მიეფარება.)

### მწუემსი

მე აქ ვერ დავდგები, ყველა მე მიბრიალებს,  
არ მსჭმევენ, არ მსმევენ და ღორებს კარგათ  
მოუდექით.

### დიღვან (მწუემსს)

ვაჟბატონი აცოცხლას ღმერთმა!... მადლო-  
ბა ღმერთს კიდე მშვიდობით განსკო.

### მწუემსი

თავი დამანებე. ილაჯი წამერთვა, მთელი  
ღღე არ დამჯდარვარ, უუღლო ღორებმა სექ-  
მე გამიჭირეს.

დიღვარდისა

შენ, ვაჟბატონო, სიტყვას ნუ ათუჯიერებ. იმდღეს დიღით რამ სავძალი გამოძტყუე და აღარც წყალა მომიტანე, შენ არ ბძანდებოდი? შენ გგონია, დაძავიწუდებოდა?

მწეემსი

ვერ გვიგონე, რავა მიუვიროდა მკელია, წყლის მოტანა სად შეძებლეთ.

დიღვარდისა

თუ არ შეგებლეთ; ახა, აქედან გაბძნდი.

მწეემსი

კაია, ჩემთვის დაძაყენე.

დიღვარდისა (კუგლუგის ტემით).

გადი, გადი, აქ აღარ გაბედო შემოხვლა. შენს მოურავთან წაბძნდი.... წადი... წადი (დატარა მწეემსი ხელის შებრუნებას უპირებს.)

მწეემსი

გაძაშვი, გოგო, თვარა...

დიღვარდისა

შენი გოგოცა ვარ, შე ეშმაკის შვილო!... (თავში წაარტყამს და გაბედოს.)

გამოსვლა 4.

იგინიკე და მგელია.

მგელია (შეძოდის.)

ცეტხლთან რას დაშხსდაცხართ. ვახშმ...  
უნდა ვაკაკეთო... ჩქარა. დღეს ბატონი ქარ-  
თლაღვან ჩამოვიდა. ჯავრიანათ არას.

დიღვარდისა (თავისთვის).

ბატონა რომ აქ არას, მაშინ იჩენს ეჭოგუ-  
ლობას.

მგელია

ზურაბია, ადე, ახლავე წყალზედ გაიბინე.  
კიკოლა, წადი საბანს უთხარა მჭადა ჩქარა  
გამოაცხოს, ჩქარა.. (ზურაბიას ჩათვით ჯ კიკოლა  
გავლენ.)

დიღვარდისა

ახლა მთინდობა ვაუბატონმა ვახშმის გაკუ-  
თება.

მგელია (ქვამს ხელს წამოა-  
ვლებს, წყალს ჩაახსამს ჯ  
გავსლზედ შედგამს)

ბატონს ამაღამ ვაღაცება მოევიდა. ვახ-



შმათ თორმეტი სული იქნება, შინაურებს გა-  
რდა. ერთი ცხვარი ძარტო არ ეუფათ, ქა-  
თმებიც მოგვინდებს.

დიღვარდისა

თუ მოგვინდებს, იძოვრე. მე ძარში რამ  
ქათმები მყავს, იძას არავას დავანებებ, აჭუ-  
ტებთან მიხდა. რაღა ბატონი არ იყო, ძა-  
შან თუ არ დახდებდა, სადიღ-ვანშიის კეთე-  
ბას. ხლას რა ბუნამკალას შეგამკრა, რამ  
ძასე გაცხარებულხარ.

მგელისა

შენი საქმე არ არას. ძაკ რძეს მოურჩე,  
ეგელი არ წავიხდეს, ის გარჩენას.

დიღვარდისა

უკაცრავათ გახლავარ. ცუულს საქმეს ნუ  
ძირე. რეგორც აქამდის გამოკეთებია სადიღ-  
ვანშია, ხლაც ისე გავაკეთებ, შენი დახმარება  
არ მინდა.

მგელისა

შენი საქმეს ქათმის, ბატის და ინდურის  
მაყლა. ჩემსე ვი მთელი რჯახი ტრიალობს.

რატო ოჯახისთვის საჭირო იქნება, ის მე უფრო ვიტყვ.

დიღვარდისა

როგორ თუ შენ იტყვი?... მე რაღა ვარ?

მგელა

შენ ჯერში მეტამეტე გოჭო ბძანდები.

დიღვარდისა.

უა, ღმერთო ძამკალი. აბა, შენ უფროილ-ხარ ყველაფერი!...

მგელა

აბა, არ იტყვი.

დიღვარდისა

კიდევ იმიტომ ვკიდები ეგრე არმათ ყველაფერს. კიდევ იმიტომ გავიწყუნია ჩემი ბატონის ოჯახი.... დამატადე, შხამათ წამოგადებინებ პირიდგან ყველა შენ ნამოქმედებს, დამატადე!

მგელა

წამოგდებს ნუ იქნება, თვარა მე უფრო წამოგადებინებ. მალე მგელას ეშველას, მალე მგელამ შენი ბარგი-ბარხანით აქედან

გაგისტუმროს.

დიღვანდისა (უიწრო ტეცხლ-  
მოდებით).

უა, ღმერთო მოძკალი. მანამდის არ აგა-  
ყენოს ღმერთმა, სანამდის შენ ძაგი ვერ მიქ-  
ნა....

კოკოლა (შემოდის)

(თავისთვის) ბატონი მოდის .. ბუ და სკა-  
დი ლამები ერთმანერთს დატაკებია. თაგუმს  
თხარა, თხარა, კატა გამოთხარა, — ბუ ვიცი,  
დღეს ამთაც ისე მოუვათ. (ხმა მალდა) ეგრე, ჭო,  
დიღვანდისა, ეგრე. ძაგან არ გაჯობოს.

ძველია

გაყურებინებ, თუ ვერ გიხამ... შენი კუდი-  
ანობა ყველასვერი კარგათ შემიტყუიას... — ნა-  
თლული?

დიღვანდის,

რეგონ თუ ნათლული... თქვა რა?...  
ნათლული, რა?... შენ გგონია, ბუ არ ვიცი  
შენი აინ-ბინები მეზობლას გოგონ სლოტი-  
სთან.

## კიკოლა

მაგრე, ზო, დილვარდისა, მაგან არ შეგაშინას...

მგელისა (ძაწთან მივა დ ქათამს გამოიყვანს დასაკვლელათ.)

ყველი, კვერცხი, ჩაჩხი არ გახსოვს?...

დილვარდისა (ქათამს სტატებს ხელს დ არ ანებებს.)

ქათამს თავი დაანებე, შენი გარდილი არ არის და შენი მოვლილილი.

## მგელისა

გოუშვი-მეთქი, დედაკაცო (უნდა წაართვას) (ზურაბის შემოდის წყლით სვასე ჩაფით, თან მწყემსი შემოწყვება.)

## დილვარდისა

მე კი არა, შენ გოუშვი—მეთქი, გეუბნები. მაგაში შენ ხელი არა გაქვს, მომეცე აქ.

## მგელისა

ეს რა ჭირი უნდა მოგადე (ჭრავს ხელს დ დილვარდისას იჭით გადააბერტყებს. კიკოლა, ზურაბისა დ მწყემსი იცინიან.)

დიღვარდისა

უი, ღმერთო სული ამომამკრე! წავა, გა-  
ძიბუდა ამ ძამახრის შეილძა!...

გამოსვლა 5

ბეკიჩი, (შემოვა და შემოსძახებს)

წააძახავია?.. წადაგემართათ? — წას ჩხუ-  
ბობოთ? დედაკაცო, წა გაკაკანებს?

დიღვარდისა (აღელვებული).

ძიშვლე, ჩემო სკლიწიფე! ამ ძამახრი-  
სავან გამღებს აღარა მაქვს! ან მე უნდა  
გამაგდოთ, ან ეგ; ორივეს ერთათ ცხვრე-  
ბა ან შეგვიძლია. მოძვლა, ილაჯი აღარ  
არის. მაგის ბორცვი საქმეებით ოჯახი.....

ძველია (პირში ეხრება)

ბორცვი ვინც არას, მე უფრო ვიცი. ის  
შენი ნათლული რომ დეეთრევა უფელდღე  
და გალთებს უკლებ ხარაგით, ბორცვი ანა-  
ხარ, ახა წა ხარ?

დიღვარდისა

უი, ღმერთო სული ამომამკრე. შენც რომ  
მაგას მეუბნებოდე, შენ ჩემი ბაცონის ოჯა-

ხის ამომგდებო. ვინ ამოაჩთვას ბატონს სსს-  
თუნაღს ქვეშ რა აბაზიანა? ბაღადადის ცხვირ-  
სახეცა, ვინ მოხარა ბატონს და გოდუბუ-  
ნანა ჩვენ მესობლის გოგოს სთუაოს? შენ,  
შენ, — შენ!

### მგელაა

ამას წინათ რომ უკელიო, კვერცხებით და  
ახუტებით კალთები გაუმსე შენ ნათ-  
ლულს, შენ არ ბრძანებოდა? მე გახლდი,  
რომ ის ბიჭა დეკაჭარე და ნაქურდალევი  
კალთებიდგან ამოვაცალე. ახლაც მარანში მიწ-  
ყვას ბატონის სარკენებლათ.

### დიღვარდისა

ბატონის მოყვანილი თარაქნელა მოხვერი  
დეიკარგათ, რომ ბძანებ: შენ არ განაზარე ჭა-  
ღას და ჩოფურა-ოსს ერთ თიფთავას სარა-  
ხეში გოუცვალე?

### მგელაა

შენ რომ წლეუანდელი ბატონის გემპ  
ჩხარს გავზავნე გასასყიდათ?

## დიღვარდისა

შენ რომ სოფიო სასტუმროში შეიმწევდი!..  
 შენ რომ სარკეს ერთი საჯანე ლოსიანთსე-  
 ვიდან ძღვნათ გამგზავნილი ღვინო მძას  
 გაუგზავნი! ..

## ბეკიჩა (გაჯავრებით დაივეიწებს)

ჩემათ!...ოჯახს, თქვენ გაგიგლეჯიათ!. თო-  
 ვი!.. (ვიკოლა მასინვე გამოიღებს სარტყელზე  
 რომ თოვი აქვს ჩამოვიდებული) შეკარით (ხელს  
 მიუშვერს მგელიასზე. ვიკოლა და ზურაბია მასინ-  
 ვე ეტეძიან, ხელს უკან გაუკვრენ. ამ შეთოვის დროს  
 ორიოდე ქისტსა და ზანღურსაც მიაყოლებს ვიკო-  
 ლა, ვითომ და უცაბედათ მოუვიდა). ჰა, შე  
 ღვთის მტერი! მაგრე მატყუებდი განა, ღვინო  
 თქვენ ქალს გაუგზავნი?.. იქნება სხვა და-  
 ნარჩენიც ასე გადაათურერი?... ორი ულახო  
 ცხენა, რომელიც ცაცინა-ქეტნამ მოძგვარა;  
 ხუთი თავთიკის შალი კედაროდგან ძღვნათ  
 მორთბეული, სამი უარსაბაღული ჯიშის კვიცია,  
 რომელიც ქანდაჩაზე ნანუკას ჯოგში მუკდა  
 გამკებელი და შენ მითხარი, ისინა ბუელმა

და ჰამათ... ვინ იტ. ს. იქნება მეჯობებს ვინ  
 მიეცა. ჰა, შენ, ჩემი ოჯახის ამომგდებო!  
 დაძვადე, რაც რამე დანაკარგის წერილი და  
 მისვალი—ეკელას სასს შეკადგენ და შენი  
 ოჯახიდან ამოვიღებ.. იტადე, შენ ქუთაისს  
 გავხვანი და ნახობაში ცოცხლათ დაგაღებ;  
 შენს ოჯახს კი ცოცხლსე დავადებ და იმას ნაცარს  
 ქარს მივტყობ.. (ბიჭვის) წაიყვანეთ, ბელელში  
 დაამწევდიეთ ამხლამ. (მგელის ხელს შეკრული  
 გადის და თან გაუკვება გიგოლა, სურნაისა და მწეკმნი)  
 კიკოლა, გასაღებები მოხსენი და შენ დაი-  
 ჰარე.... (დიღვარდისას) შენ დედაკაცო! ..  
 (ცოტა ხანს სიხუმრას) ამავ დამეს ბარგი აიკარო..  
 ჩემს ოჯახში თქვი აღარ შემოდგა... (გავა).

დაღვარდისა (მწუნარებით).

ჩემი ბატონისაგანაც ამ პეტრის ტერმს  
 ვადირსე! ვინცაღა გუშანდელ მოთრეულ უა-  
 ძახს დაუჯერა ჩემი სიარბე, ჩემი, რომელსაც  
 ჯანთისაგან წელი მომწვევების ამ ოჯახში,  
 —რომლის საყმაწვილე ამ ოჯახს მოუნელებია,  
 რომლის ხელებს დაუკავებების ბატონის



შვილი ვასილი. ღმერთო! შენ მოჭკითხე ჩემ მაგაიერათ.... ახლა სად წვევიდე. ვის წაღათ უნდივარ. ვინღა შეძინასხვს... (შეხერდებს.) ჩემი ბატონისგან აძას არ მოველოდი. შვილო ვასილ, მოგიკვდა დიღვარდისას თავი; იქნება აღარც ეს ელიჩოსს შენი ნახვა ამ ჩემ დაბნელებულ თავლებს... (ვაკრიახათ ცუცხლათ შეგრგებათ უკელას ჩემი ნამაგარი.

კიკოლა (ქართა შემოვარდებს.)

დიღვარდისა! თახჩის გას დები მოძეცი. ჩქარა ბატონმა ბძანა.

დიღვარდისა (გაცხარებით).

ვის?... შენ უნდა მოგცე. შენ, — ქურდ და სუნავს? გადი აქედან დამეკარგე, ივანე იმდენი ჩემს ვასილს მოხვდა სიკეთე, წამდენი მე შენ ეს იაშა მოგახვედრო.

კიკოლა

კარგია, ბევრს ნუ კავასობ. შენი ბატონობის დროც წვევიდა. ახლა ძაგის ჭაშნ კაცობა მეც უნდა ვნახო. მოიტე ჩქარა გასადებები და მეც შენ თუნდ თავი ქვას ახალე.

დიღვარდისა

დიახ. გასადებები შენ მოგცე, წაღ ხალმები უკელა და კვერცხი იაქვს შენხული,

## კრებული

სულ შენ ამოიღო და შენ გადიტანო, მერე  
ბატონმა ესეები უკელა მე მომკათხოს... მს-  
ნამდის არ აგაყენა ღმერთმა, სანამდის მე ძა-  
გი არ ვქნა....

კიკოლა.

მოიტა, მოიტა, ბეკრს ნუ ფაფხურობ?...  
(ხელით მისწვდება.)

დიღვარდისა

გადი აქედან, შე წუწკო! მე შენ მოგტეპ  
თავში ტეხას.

კიკოლა

მოიტა — მეთქი, თქარ ძალათ წაგანტეკ  
(გამოედევნება უკან.)

დიღვარდისა (მიდის კარებისკენ)

მე თვითონ წავალ ბატონთან, მასე ად-  
ვილათ ის ვერ მომიძულებს. ვეტყვი, რომ  
გინდ შენთვის ჩუბარებისა ოჯახის გასაღებე-  
ბი, გინდ მკელისათვის. დაძადადე. შენ წუწ-  
კო, შენ!... გაურბინებ შენ სეარს. (გავარდება.)

კიკოლა (გამოედევნება და კვალში  
შიაყოლებს)

ვე ზრუწ!!! უშველებელი ბრანწი შენ საქმეს.  
(ფარდა ჩამოეშვება.)



# განჩინება. ბარისა. და მოიურ- თა ადგილთა

ქ: ჩვენ საქართველს, მეივის ირავლი  
მეორისა შემან სრულიად. ანაკვის საერისთოს  
მხურობელმან, ვახტანგ სანატრელის ჩვე-  
ნის მმას ბატონის შვილის ლეონისაგან,  
მთებში დაჯებული განჩინება კელმეორედ  
განვაახლეთ, და რავდენნიმე, ჩვენ მიერ გან-  
წესებულეხატ თან ჩაურ თევით, ყოველთა  
ანაკვის საერისთოს ბარში მეორეთა კაცთა,  
ასე გიბმან; ბთ, რომელიც ამას ქვეით დაიწე-  
რება. დღეის იქით, ასე უნდა აღსრულდეს:

ა ქ. ღმერთმა ნუ ქნას, თუ ვისმე კაცი შემოა-  
გწდეს, იმ მკუდრის ჰატრონი თავის თავად ლაშქარს  
ნუ შეიყრის, და მკუთელს ნუ დალაშქრავს და  
ნურც თვთან ეცდეს იმისს სიკუდილსა, ჩვენს სა-  
მართალში მოვიდეს და სამართალი მიეცემა: თუ ჭა-  
რით დალაშქრავს. და ან სხვა რიგად მოინდომებს

რასმე იმისს გაზრდაკდევინებას, იმ მკუდრის სისხლ-  
საც ჩაუტარებო. და რომელიც კაცი იმას დაშქრად  
მიწყება. იმასაც ჯა იმას წავართმევო. და უჩვენოდ  
იმასთან საქმის გასაზრიგებლად. ბჭეებიც ნუ დაუნს-  
დებიან, თორემ ბჭეებსაც დიდად ავად მოკეპურობით:

ბ ქ. თუ ვისმე უქორწილად ქალი ჰყვანდეს.  
მიყვანილი ცოლად. ან ახლავ ჯვარი უნდა დაიწე-  
როს, იმ ქალზედ, და ან ახლავ კელი უნდა აიღოს:  
თუ შეუტყვიო. რომ რომელიც ქალი შინ მიყვანი-  
ლი ცოლად ჰყოლია. და იმასზედ ჯვარ დაუწერელი  
ყოფილა. იმას ჩვენზედ შეცოდებასავით მოვიგით-  
ხავთ: და ქალის პატრონი. რომელიც თავისს ქალს.  
ჯვარ დაუწერელს მისცემს. იმასაც ავად მოკეპურობით:  
ჯვარ დაუწერლად ქალის შინ მიყვანა არ იქნება:

გ ქ. თუ რომელიმე ქრისტიანე კაცი ოსს ქალს  
მისცემს და დამოყურდეს, იმას ჩვენს მუხანათ-  
ოაზასავით მოვიგითხავთ. და დიდდაც გაზრდაკდევ-  
ინებო. და თუ ოსმა ქალი მოგცესთ ის კი ითხო-  
ვეთ, მაგრამ. უნდა კი მალათლოთ, მოუნათლობა  
არ იქნება:

დ ქ. თუ რომელიც ქვრივს დაიძახებს. კაცი  
ვიხმე. იმასაც ჩვენს მუხანათობასავით მოვიგითხავთ.  
დღეის იქით დაძახებით ქვრივის შერთვა აღარ იქ-

ნება არას კაცისაგან, რომლისაც კაცის შერთვა ქუთა-  
ვის ნება იყოს, ის უნდა შეირთოს:

ე ქ. თუ ჩვენის ბძახების წინააღმდეგი შეიქნას  
კაცი ვინმე. ის კაცი რომლისაც სოფლისა იყოს,  
იმ თავისმა სოფლის კაცმა. ჯ თავისმა მოკვლემ  
უნდა დაიჭიროს, ჯ დაჭერილი ჩვენთან უნდა მოი-  
ყუანოს: თუ არ დაიჭირეს, და დაჭერილს, არ მოგ-  
გვუჩიან. რისაც გარდასდევინების დიწხი ის კაცი  
იქნება იმის მაგიერად. იმ სოფელსა. და იმისს მო-  
კვლეს გარდავასდევინებთ:

ვ ქ. თუ რომელიმე კაცი ჩვენის ბძახების წინა-  
აღმდეგი. იმ თავისს სოფელში აღარ იყოს, და სხვას  
სოფელში მივიდეს. ის თუ იმ სოფლის კაცთ  
და მოკვლემ არ დაგვიჭირა. იმ კაცის მაგიერ იმათ  
გარდავასდევინებთ:

### ჩვენ მიერ განსჯილი. განჩინება:

ზ ქ. რომელიც რომ ამ ქვეყნისათვის უბისკომო-  
სად დადგინებული წილკნელი ბძახდებოდეს, და იმ  
უბისკომოსმა. სულიერი განონი გიბძახოსთ. და მარ-  
თლის ქრისტეანობის წესი და რიგი გამცნოსთ. და  
დაგირიგოსთ. და თქვენ იმაზედ არ დაქმონილენით  
ჯ ეს ჩვენ შევიტყვიეთ: ამას დიდად მოვიკითხავთ.  
და ჩვენად შეტოდებად ჯ მუხანათად გარდავასდევინებთ:

წ ქ. დღეის იქით ტყუილად სასივარო, და ტყუილად წადაკება ვისიძე აღარ იქნება სამართალში გამტყუნებულისაგან. და თუ რომელსაძე სამართალში გაუგლიათ. და იქ ერთი რამ ნაკლები სამართალი მისცემიათ. და საბუთები ექნება. იმ თავისის სასივარისა. მაშინ ჩვენ აღარ დაუშლით სამართალში მოსვლას. მაგრამ, თუ ის საბუთები, ჭეშმარიტი არ არის, და ტყუილად წადაკება და სამართალში. გაივლის. დიდად გარდაკვანდევინებთ:

თ ქ. ღმერთმან ნუ ქნას თუ რომელსაძე სოფელში. კაცი ამოსწყდეს. ან შვილი. ან ძმა არ დაჩხეს იმისს მამულს ნურავინ დაიჭერს თუ უნდა გაყრილი ძმაცა ჯეკანდეს მარამდის ჩვენ არ მოგვასხენოს. მანამდის ის მამული ისევე ბეითაღმნად უნდა იდვას, მოკელე მოვიდეს მოგვასხენოს, და როგორც ჩვენ უბძანოთ. იმ მამულის საქმე ისე უნდა აღსრულდეს:

ი ქ. ნურცავინ ჩვენი ემა საყდრის მამულს იუ-ი დის. და ნურც საყდრის ემა ჩვენის ემის მამულს დღეის იქით თუ იუდის ვინძე იმ მამულზედაც კელს ავადებინებთ და თავისს მამულსაც წავართმევთ:

ია ქ. ვინიცოდა არის თავისის სოფლიდამ. მამულის მქონე კაცი აიყაროს, და სხვას სოფელში დასახლდეს და იქიდან მამულის გასყიდვა მოინდომოს,

თუ ჩვენს უბნისებრი იყიდის ვინმე, დიდად ავად მოკვებულობით. და რასაც იმ მამულში ფასს გაიღებს. ერთს კიდე იმდენს ჩვენ წავაერთმეკვთ, და არც იმ მამულს ვასყიდვისებ:

იმ ქ. მსახური თავისს მამულს ვერ გაჩუდის, ამიტომ რომ. ის მამული ჩვენი მსახური ვინც იქნება იმას უნდა ჩქონდეს. და, თუ ან გაჩუდის. და ან იყიდის ვინმე. გამსყიდველსაც. და შეიღველსაც დიდად ავად მოკვებულობით. იმ მამულსაც წავაერთმეკვთ და თავისს სამკვიდროს მამულზედ გელს ავალეუბნებთ: რადგან მსახურთ მამული. ვინც ჩვენნი მსახურნი იქნებიან. იმათთვის არის განწესებული სხვათ არ მიეცემა:

იგ ქ. თუ სასახლას კაცის მამულს აზნაურშვილი, თუ სხვა მოკვლე ვინმე იყიდის ჩვენს შეუტყობრად იმ აზნაურშვილს დიდად უწყენთ. თუ სყიდვის მოწადინე იქნება, მოვიდეს იმ აზნაურ შვილმა ჩვენ მოგვასხენოს, თუ მუნასიბი იქნება ჩვენ გავსინჯავთ. და ჩვენი დასტურით იყიდოს ის მამული:

იდ ქ. თუ სამართალში კაცი დავიბაროთ. და ის კაცი ჩვენს იასაულს რომლისაც სოფლის იყოს არ გამოჩუკეს. იმ სოფლის კაცთ დაგვიჭირონ. და მოგვიგვარონ, და თუ იმ სოფლიდამ გავხაროსთ სადმე. სადაც წავიდეს ჩვენს საბრძანებულში. უგელგან უნდა



სდიონ ჭ ეცადნენ იმისს კელში ჩაგდებან: თუ აშ-  
 ზედ ბეჯითად არ გაინარჯნენ. დიდად გარდავახდე-  
 ვინებთ. ჭ თუ სხვას სოფელში მივიდა სადმე ჭ  
 სწოდედ იმ სოფლის კაცთ არ დაგვიჭირეს. ჩვენს  
 ძუნხანთობასავით, მოვიკითხავთ:

ქ. მართალია ბევრი მთის განჩინებაც  
 ურევია, მაგრამ :ქ ესეც საკმარისა რომ  
 უნდა იყოს:

განჩინება ბარისა,

იე ქ. რომელიც რომ ფასის ყარაული არის გან-  
 წესებული. ის ყარაული დრომდის სულ მოუკლებლად  
 უნდა იყოს, ჭ იმ ყარაულებს თავ თავისი ფასის  
 მძლეკელი სოფლები განწესებულს ფასს, დაუკლებლად  
 უნდა მისცემდენ სოფლმე. და თუ იმ ყარაულებმა  
 ყარაულობის რიგს დააკლეს რამე, ჭ ან ბეჯითად  
 არ მოიქცნენ. დიდად გარდავახდევინებთ, ჭ თუ იმ  
 ფასის მძლეკელმა სოფელმა თავისის განწესებულის  
 ფასის მიცემა დააკლეს, იმათაც დიდად გარდავახ-  
 დევინებთ:

ავ ქ. ღმერთმან სუ ქმას, თუ ან ტყვე დაიკარ-  
 გოს, ჭ ან საქონელი, ჭ ან ყაზასი გახსდეს სად-



მე, იმაზედ დიდად ბეჯითად უნდა გაინარჯუნს მდეკრობით. თუ გზის შეკურნით, და იმის მდეკრობასზედ კაცია არ უნდა დააკლდეს, თუ არ შეუძლებელი, იმისს მდეკრობასზედ დააკლდება ვინმე, და დიდად ბეჯითად არ მოიქცევიან, და არ გაინარჯებიან და სადამდისაც მდეკრობის ყავლი არის. და დასრულდება რომ იმას იქით, აღარას გზით აღარ შეიძლება იქამდის არ სდეკენ, და დეკენას დააკლებენ სწორედ, ჩვენის მუსხანათობის მსგავსად გარდავასდეკინებთ:

იხ ქ. რომელსაც სოფელში ტყვე დაიკარგოს, იმ სოფელმა ყოველს თავისს მახლობელს სოფლებს უნდა შეატყობინოს. და მაშინვე მდეკარი უნდა გამოუდგეს, რომელიც სოფელი იმისს მდეკრობაში დააკლდება. დიდად გარდავასდეკინებთ. და იმ ტყუილსაც იმ სოფელს გარდავასდეკინებთ. და თუ რომელიმე სოფელიდამ. იმ მდეკრობაში კაცი დააკლდება. იმ კაცს ორი ზროსა გამოაჩინონ, და იმ მდეკრის კაცთ გაიყონ:

ქ ასრე ამ წესით უნდა მოიქცეთ: თვითონ ამისთანა წიგნი ყოველგან ჩვენს საბრძანებულში ძეგს, და თქვენშიაც ამიტომ გამოგვზავნეთ, ეს წიგნი რომ მანდ უნდა იდვას, რომელიც კაცი დღეის

იქით, ამ ზემო ბრძანებას გარდახდება. იმ კაცმა  
 ასე იცოდეს, რაგონიც კაცის მკვლელს, სიკვდილით,  
 მამულიდამ. ჭ თავის აღაგიდამ აყრით აკლებით. ჭ  
 დაკარგივთ გარდავანდეკინებთ. ისე ამ ბრძა-  
 ნების, წინააღმდეგობს: აღიწერა, ოკ-  
 დონსერს, იდ. წელსა ჩღჳ.  
 ქორთნიკონსა.

უო.

# მომხრება

რახე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს  
ივან ნიკიტოვრიჩთან

თსუ ულებას. გოგოლისა

---

თავი 1

ივან ივანიჩი და ივან ნიკიტოვრიჩი

ჩანებული ბეკეში \*) აქვს ივან ივანიჩს! და წარჩინებულად! რა ბეწვი უდევს! აი დიდებს შენთვის ღმერთო! რა ბეწვია! მტრედის ივერია, წინწკლებით! რახუდაც უნდა იუფს, დაკნაძლეულები, რომ მაგისტანსა სხვა ვისმე არა ჭქონდეს! ერთი შეხედეთ, ღვთის გულისათვის, მეტადრე, თუ რომ დააწყო ვასმეთან ლაჰარაკი, ახა გკერდზე შეხედეთ:

---

\*) ბეკეში თბილი ტანსაცმელი კაზაა.

მართლა და მშვენიერება! კატა ვერ ასწერს, ასეთი წამალი: საკედა! ვერცხლი, ცეცხლი! უივალა, ღმერთო ჩემო! წმინდაო ნიკოლოზ სასწაულმოქმედო! საინო მყოფელო უივალასო! მერტომ არა მქვს იმისთანა ბეკეშა! იმან შეიკარა ეს ბეკეში ჯერ კიდევ მამან, როცა აღათუა თედოსეკნა არ იყო წასულა ქკიევს. თქვენ იცნათ აღათუა თედოსეკნას? ეს ისა ბძანდება. რომელმანც მდივან-ბეკს უური მოაკვნიტა და მომკბიჩა.

ჩანებული და საუცხოვო კატია ივან ივანირი! რა ნაირი სახლი აქვს იმას ქ. მარტო-როდში! სახლს გარშემო, ოთხ-კუთხივ, აქვს საჩეხი მუხის ბომებზე და საჩეხ ქვეშ ყოველგან სკამეიკებია. ივან ივანირი, როცა მეტის მეტად დაცხება ხოლმე, გაიხდის თავის ბეკეშს და ზერანგას ამხანაკს: ც. ასე რომ დარჩება ხოლმე მარტო ზერანგა, მოისვენებს ხოლმე საჩეხ ქვეშ, და აქედამ დასიტკრას და ხედავს ეზოში და ქუჩაში რა ხდება და რა ამბავია. რა ვაშლის და მხლის ხეები უდგას ამას შავ

თავის ფუნჯების ძარში! რაკი ფუნჯარს  
 გაღებთ, ხას ტოტები მაშინვე შავ მთახში  
 შემოტვივიან და შემოსხლტებიან. ეს სულ  
 ყოველი სახლ წინა აქვს; აბა ეხლა ნახეთ ბაღ-  
 ში რა აქვს! იქ რა არ იმალება და რა არ არის?  
 ქლაკება, ალუბალი, ბალი, ყოველ ნაირი  
 ბოსტნეული, მსე-უჭკრიტა, კიტრები, ნესკები,  
 ჩენჩოები, თითქმის კ-ლო და საშუალოდ-  
 ჩინებული და საუცხოვო კანდა ივან ივანიჩი!  
 ამასვე ძალიან უყვარს ნესკი: ეს არის ამის  
 საყვარელი საჭმელი ხილი. რაკი ისადილებს  
 და პერანგს გავა ხალძე საჩეს ქვეშ, იმავე წამ-  
 სვე უბძანებს თავის ღაბკას და მოატანინებს  
 ხალძე რა ნესკსა, — თითონ თავის ხელით  
 დასჭრას ხალძე, ნესკის თესლებს მოაგროვებს  
 და გადილებს ცაღვე ქალაღში და მერე  
 დაიწყოებს ხალძე ნესკების მირთმევას და გა-  
 საღებეს. შემდეგ ამისა უბძანებს ხალძე ღაბ-  
 კასვე და მოატანინებს მას საწერ-კალამს და  
 საკუთარ-სეღითა თვისითა დაწერს ხალძე  
 უკვიდამ იმ ქალაღს, რომელშია ც ნესკის

თსლებიან მოგროვილი: «შეჰმულ იქმნა ამა და ამ რიცხვის შინა» და თუ იმ დროს ჭყავდა ვაქმე სტუმარი, მაშინ დაუძგებდა: «თინა დასწრობითა და მონაწილეობითა ამა და ამ ადამიანისა »

განსკერებული მსაჯული ქ. მარტოროდის მედამ უხაროდა და დახატოდა : ვან იკონიის სახლსა, რაკა დაინახავდა და შეხედავდა ხალმე. და ახ, ის სახლი ძალიან ურიგო არ არი. მე ის მომწონს, რომ ამ სახლს ყველა მხრივ მიშენებული აქვს ერდოები და პაწაწინა დერეუვნები, ასე რომ შორიდან რომ შეხედოს კაცმა ამ სახლსა, მარტო სახლის ბანებს დაინახავს, ერთი ერთ-მანერთზე ჩარეგებულს, გეზავსათ თითქო ერთი სავსე თუთუი ბლინები ან იაღლეუბა იყოსო, ან არა და, უფრო კეთესია, მზგავსათ ხეჯედ ამოსულ სოკოებისა. მაგრამ მთელი ბანებო ლერწმით არი დახურულები: ტირითუი, მუხა და ორი კაშლას ხე იმათზე გადაუდებელი, არიან თავიანთ თვართოთ-გაშლილ რტოებით. ხეებ შუა მოელვარებენ და



თითქმის ქრისკენ გამოჩნდაანა ზატარა ფანჯარები, ჩუქურთმით ამოჭრილ და თეთრად ცაბრცვით შეღებილ ფანჯარის დანახებით.

ჩინებული და საუცხოვე კაცია ივან ივანაჩი! ზმსვე იცნობს ქ. პოლტავის კომისარ. დარბა ცარასიჩი ჰეხოვოჩკა მუდარცა კა გაგმეზავრებს ქ. ხორლოდაშ შეკლას და გწვევა ხოლმე ივან ივანაჩს. და დუკანობს მამ ჰეტრეს, რომელიც სცხოვრებს კალიბერდში, რცა კა შეიურებიან იმასთან ხუთიადე სტუძანი, სამუდამო სათქმელად ისა აქეს ხოლმე, რომ იგი არავის იცნობს ისეთსა, რომელიც ისრე ასრულებდეს ქრისტიანობის ვლდეოულობას და ისე სცხოვრებდეს, ვითარცა ივან ივანაჩი.

დმართო. დრთება რა მალე მარბის და მიტრინავს! ჯერ მამინ ათ წელიწადს გაეკლო რც ის დაქვრიებულყო, შვილები იმას არა ჰყავდა: ღაზვასა ჰყავს შვილები და ეხობი დარბაან. ამ უმაწვილებს ივან ივანაჩი რუდამ აძლევს ხოლმე სათათად ან თითო ბლითს.

ანუ თითო ზატარა უანჯას ნაჭერს იესუსა, ანუ მსხალს. ამბრების და სარდათების გასაღებები ახარა და ზეკას და თან ატარებს; დადიანდუ-კას გასაღები, რომელიც ივან ივანიჩის სწულ-ათახში დგას, და შუა ამბრას გასაღები თი-თან ივან ივანიჩის აქვს და არ უყვარს იქ აწავის შეშვება. ღაჭვა მოახლეა, ჯან მრთელი, მოსულ და ჩასხმულ კურთებითა და ლოყებითა.

მერე უნდა იცოდეთ რა მლოცვი კაცია ივან ივანიჩა! უოკელ კვირა დღობით ჩაი-ცვამს ხალხე თავის ბეკემს და გასწევს კელ-სიასაკენ. რაკი საუდარში შუვა, ივან ივანიჩი უოკელ მხრივ თავის დაკერის და სალაქას მიტემის შემდეგ ჩვეურობასამებრ მივა, დად-გება სამგალობელში და ძალიან კარგათ გა-ლობაში ბანს აძლევს მგალობლებს, ბოხის ხმითა. რაკი წარვა გამოვა, ჩვენ ივან ივანიჩს გული არ მოეთმებს, რომ არ ჩამოუაროს კელესიასთან გამწვრივებულ უკელა გლახების. ამას იტყვან არცკი უნდა და ამ გვარ თავის შემწვეხარი და არა სხიამოვნო საქმეში ვარ-



თუ ლიუო, მაგრამ იძულებულიყო ბუნებითად თავის კეთილის გულათ და ხასიათად. «გამარჯობა შენი, გლახაკო!» ჩვეულობისამებრ ის ეტყოდა ხალმე ყველა გლახეიში უფრო და მკვებულ. დაიხრეწილ და დაკერებულ მანძებში მოხრეც გლახა დედაკაცსა. «სადაცა და სადაც მკისხარ შე საცოდაო?»

— «მე, ჩემო ბატონო, გომურ-ქოხიდან გესვლით. აი ეს შესამე დღეა, რაც არ მისვამს და არც არა მიჯამარა; მე ჩემს დვიდლ შვილებს გამომაგდეს სახლიდან»

— «ჰე! ბერე, შენ განა გინდა ჰერა და გმიან? ჩვეულობისამებრ ჰკითხავდა ხალმე ივან ივანინია.

— «როგორ არ მანდა! რას მიბძანებთ, ძალღსევით მშიერი ვარ.»

— «ჰე! უბასუხებდა ხალმე ჩვეულებრივ ივან ივანინი. მამ შენ იქნება ხორცის ჭამაც გინდოდეს?»

— «რასაც კი თქვენ მოწყალებას მოაღებთ, უკვლის ფრით კმა-ყოფილი ვაქნება.»

— «ჰე! განა ხორცია ჰურის სჯობია? აბა

მშვიდი მავას სად გააჩივოს და როგორ გაიგებს? რასაც კი მიბოძებთ უკვლას კარგისა, ამ დროის მოხუცი გლახს დედაკაცი ხელს გაუშვერდა ხალმე სათხოვნელად.»

«მაშ კარგი, გაიარე, გასწი, ღმერთმა ვოცტესო, იტყოდა ხალმე ივან ივანიჩი. რას უდგეხარ? მე ხომ შენ არა გცემ და არა გტყუებ! და ამგვარისაკე ლაპარაკით და კითხვით მიუბრუნდებოდა ხალმე მეორე გლახას, მესამეს, ბოლოს დაბრუნდებოდა შინ, ან მივიდოდა ერთ რუბკა არეის გადასაკრავათ თავის მესობელთან ივან ნაკიფიჩიჩთან, ან მიწოდოდა მსახულთან, და ან ღორდინითან.

ივან ივანიჩს ძალიან უუკარდა, თუ ვინმე იმას მართმევდა ივექაშს ან სარექარს. ამ გვარი საქმე იმას ძალიან მოსწონდა.

ძლიან კარგი კაცაა ზრეთუ ივან ნიკიფორჩი; ამას ეზო აკრავს ივან ივანიჩის ეზოს, ამათ ერთი ერთმანერთში ისეთი მეგობრობა აქვსთ, როგორც ჯერ ქვეყანაზე არა უფიქალა. ანტონ პრკოფიჩი ჰუმბ-

ბუზი, რომელიც დღეის აქნობამდისან კიდევ მახვიის თერ და ლურჯს სახლებთან სერიოზუ- შას და კვირადღეობით სადილად მარდორა- დის მსაჯულთან დააარება, მუდამ იტყუდა ხალმე, რომ ივან ნიკიფორი და ივან ივანიჩი თვით ეშმაკს ერთად შეუკრავს თა- კითხა: საითაც ერთი მიდისა, მეორეც იქათ მიეხირობათ.

ივან ნიკიფორის თავის სიტყვებში ცოლი არას დროს არ შეუღლია. თქ- ცა ხმა დაგდეს და ამბობდნენ, რომ ცოლი შეირთოთ, მაგრამ ეს მძძალი ჭორია. მე ძალიან კარგად ვიცნობ ივან ნიკიფორის და შემიძლიან ვსთქვა, რომ იმას თითქმის განზრახვითაც არ შეჩინა ცოლის შერთვა. სადგ- დამ იბადება და გამოაქვსთ ესეთი ჭორები? როგორც მაგალითად, რომ დაბადებით ივან ნიკიფორის უკან კიდე დაშეუღლიათ და აქვსა. მაგრამ ეს ჭორი ისეთი წინას მარას, უშვერი, საწინდარი და უმართებულა, რომ მე თითქმის, საჭიროთ არ ვრცხავ ეს ჭორი

დაურღვაო ჩემ განათლებულ მკათხველებს, რომელთაც შეჭკველად იციან, რომ მარტო გრძნეულთა აქვსთ ჴეან კუდი, ს.ც იშვიანთად და ძალიან ბევრს აჩა. მაგრამ გრძნეული ანუ კედანი დედაკაცები გკუთვნიან უფრო მდებრობათ სქესს ვიდრე მამრობითს.

ჩინებული მეგობრები ერთმანერთს აჩა ჰგვანდნენ, თურცა ერთმანერთში დიდი სიყვარული ჰქონდათ. ამათ ხასიათს კაცი უკელასოდ უკეთესად შეიტყობს ერთი ერთმანერთის შიკვარდებიდან. ივან ივანაჩს ჰქონდა იშვიანთი და გასაოცარი ნიჭი საკვირველ ტკბილ და სისიამოვნო დახარაკსა და სარუბრასა, დიქროთო! როგორ დახარაკობს! კაცი როცა იმას დახარაკს უერს უგდებ, იმასა ჰგრძნობ და ისე გგონას თანუ განილაძენო, ან წყნარად იკვას გულს გიძვექენ, ან გივხანენო. უერს უგდებ, უგდებ—და თავს ჩაღუნავ. სისიამოვნოა! ძალიან და მეტას მეტად სისიამოვნოა! ისე, როგორც კარგი ძილი გობნებებს ჰქმდეკ! ივან ნიკითვორჩი კი სულ სხვა-

ეს უფრო ჩუმი და ცოცხს ლაშქარებს, მკრამ თუ ხმა ამოიღო, ისეთა სიტყვას გამოისვრის და მოგარტყანს, რომ ვაი იმას ბრალი, ვასაც მოხვდება! იმის სიტყვას უკელს სამართებელზე და აღმასწოდ უკეთს სჭრას და ჭხარსავს. ივან ივანიჩი გამხდარ გამხდარია და მძლავრი ტანისაა; ივან ნიკოლოზი იცოცხა იმაზე დაბლია, მკრამ განვრცელებით გასულია გაზე და სისქეზე. ივან ივანიჩს თავი ბოლოვს უგავს, მარი რომ მკეთით ჭქანდეს. ივან ნიკოლოზის თავი გადობრუნებულ ბოლოვს უგავს. მარი რომ ზეით ჭქანდეს. ივან ივანიჩი მარტო სადილ შექდეგ მარტო ჰერანგის სანაბრად წევს ხოლმე საჩუხ ქვეშ; სადამოლობით ვა ბეკებს გადაცვამს და სადმე წავა ხოლმე ან ქალქას ჰერას მადახაისაკენ გასწევს, სადაც ის გაუადულ თავის თქვილს ახარებს ხოლმე, ან მინდვრად გავიდოდა მწერებზე, დასაჭერად. ივან ნიკოლოზი მოელი დღე დერეფანმა წევს ხოლმე; თუ მადიან არა ცხელა

ჩვეულებისაჲს მზეს ზურგს შეუძკერს ხოლმე და შინაჲამ არსად კარში გასვლას არ მოინდობებს. დილაობით, თუ მოუვიდა თუქრში და მოინდობს ეზოში ბოლთასს ჭკრავს ხოლმე, თავის სასლახრობას და მეურნეობას დაათვა-რელებს და ისევ განსვენებას მიეცემის ხოლმე. ადრინდელ დროში ჩვეულობად ჭქონდა რომ შეკადრდა ხოლმე თავის ძეგობელთან ივან ივანიჩთან. ივან ივანიჩი მტის მეტად მგრიობელი და შორს დაშნახავი კატაა და რიგინ და წესიერ ლაჰარაკში არას დროს არ იტყუას უმართუბულო ან უკადრისს სიტყუას. და იმაჲ წამს საწყენოდ მიიღებს ხოლმე, თუ კისიგანმე გაიგო უკადრისი სიტყუა. ივან ნიკიფორიჩი ამაში არას დროს თრთხილად არ იყო და ბეკრჯელ წასცე-ბოდა ხოლმე ლაჰარაკში ამ გვარი სიტყუას; მაშინ ივან ივანიჩი ჩვეულობისაებრთ, თავისისა თავის ადგილიდამ წამოდგება ხოლმე და იტყუის: «კმარა, კმარა, ივან ნიკიფორიჩ; უმჯობესია კარში მჩუგე გასვლა, ვინემტ მხ-



გისთანა ღვთის წინააღმდეგ სიტყვების ხსენება. ივან ივანიჩი ძალიან ჭკვრობს, თუ იმას წვენში ახ ბოროტი ჩავარდნილი ბუნია შეხვდა; ის მაშინ ძალიან ცხარობს, მოთმინებულად გამოდის მათლაოვს. გადასვრის და მსხმინებელსაც ხეირს არ დაყრის ხალძე.

ივან ნიკიფორიჩის ახარებით უყვარს ცივი წყალში ბანაობა, და როცა უელამდის წყალში სის ხალძე, უბრძანებს, მატყანინებს და ჩაადგმევინებს იქვე წყალში სტოლსა და სამოკარს და ძლიან უყვარს ჩაის მიწომეკვა ამოსთანა სიგრილეში. ივან ივანიჩი ჰიას იზარსაკს კვირაში ორჯერ, ივან ნიკიფორიჩი კი — ერთხელ. ივან ივანიჩის მეტის მეტად უყვარს გამოკითხვა და გამოძიება უკელაოვრისა. დებრთმა დაიოვაროს! თუ კაცმა ლაშარაკი დააწყო იმასთან რესპექედ და არ დასსრულა! თუ ის რითიმე კმაყოფილი არ არის, კაცი მაშინვე მიხვდება და შეიტყობს. სახესე, ისეა შეხედულობით, ადამიანი იმას ძალიან ძნელად შეატყობს კმაყოფილად. ისა თუ გაჭკვრებულ

ლია; თუნდ რომ განხრებული იყოს წასმეწოდ  
 მაინც არ შეიძინეს. ივან ივანიჩი ცოცხათი  
 მშობარს ხსლიათისაა. ივან ნაკიოფარაჩი კი  
 ამაში სულ არს ჭეკვს იმას და ხულ სხვას.  
 ამის შალვარა ისეთი განიერა და ისეთი  
 თვართა ნაოჭები აქვს, რომ თუ კაცმა განიერს  
 იმის შალვარა, შიგ ჩაეტყვას მთელასაშალვარა,  
 ამბარებით და შენობებათ. ივან ივანიჩს დი-  
 დრონი და ბურნუთას იკერი ჭკვიანი თვალე-  
 ბი აქვს და ზარა ცოცხოდე რესულ ასოს  
 იყიდას (V) უგავს; ივან ნაკიოფარაჩის კი ჰს-  
 ტარს და მოყვიანა თვალები აქვს, რომელ-  
 ნაც სრულიად ივარგებან და თითქო ძლისკ  
 მოჩანანო ხშირ წარბებში და თუნჩულა ღო-  
 ებ შორის; და ცხვირი კი მწაივი ქლიავს  
 უგავს. თუ ივან ივანიჩი თქენ ბურნუთს გი-  
 თავსებსთ, ჩვეულობათს აქვს, რომ ჭერ კო-  
 ლოივის ხეოს ენით გალოკავს, მერე თითს  
 დაჭერავს კოლოივის' ხეოს, ისე მოგართმევსთ  
 და გეტყვიასთ, თუ იმას ნაცნობი ხართ:  
 „შეძიძლიან გაცობედოთ და გითხოვოთ, მოწყა-“



ღელ რემო ხელწითელა, ამ დავალებასზედ? »  
 და თუ თქვენი ცნობა არა აქვს, მაშინ ასე  
 იტყვის ხოლმე: «შემიძლიან გაცობედოთ და  
 კოხივით, მოწყალე რემო ხელმწითელა, ამ  
 დავალებასზედ? რომლის ღირსება, რინი, სს-  
 ხელი თქვენი და მაშისა თქვენისა არა მაქვს  
 ბედნიერება უწყოდეს; » ივან ნიკიფორიჩი კი  
 თქვენ ჰირდაჰარ ხელში მოგაჩეჩებსთ თა-  
 ვის კოტკოშს, ანუ რქას, რომელშია ც აქვს ბუ-  
 რნუთი და მარტო ამ სიტყვას დაატანს:  
 «ივალეზადეთ» (ინებეთ). როგორათა ც ივან ივა-  
 ნიჩს, აგრეთვე ივან ნიკიფორიჩის ძალთან ეჯა-  
 ვრებათ წყილები, და ამიტომაც არც ივან  
 ივანჩი, არც თუ ივან ნიკიფორიჩი სახლში  
 არას დროს ისე არ შეუშვებენ ხოლმე დალალ  
 ურჩას სავაჭრო საქონლითა, რომ არ იუი-  
 დონ წყილის წამლები სხვა და სხვა შუშებში  
 და უიდეის წინათ კი კარგა გამოლანძკუნ  
 ხოლმე ურჩას იმაზე, რომ ის ებრაულ რჯუ-  
 ლისაა და იმ საწმენტებს ასრულებს.

მაგრამ, თუმც ცოტად ივანს სხვადასხვა

ამათში, როგორც ივან ივანიჩი, აგრეთვე ივან ნიკოლოზის ძინებული და კაი ადამიანები აჩიან.

### თავი მეორე

რომელიღამაც შეიძლება შეიტყუოს, თუ რომინდღამაც ივან ივანიჩმა, რაზე მოუვიდათ ლაშქარკო ივან ივანის და ივან ნიკოლოზის და რით გათავდა ის ლაშქარკო.

დილით—ეს იყო მკაცრათვეში—ივან ივანიჩი იწვა სახეებ ქვეშ. ჰაზანაქება დღე იყო, ცხელად და ჰაერი შეკრული იყო. ივან ივანიჩმა ამ დილით მოასწრო ქალაქგანეთ უფონს, იყო სათიბში და გომურებში; ისიც კომოასწრო, რომ გზაზე ვინც გლეხ-კაცები და დუდა-კაცები შეხვდნენ, დაწვრილებით გამოჭკითხა: სადაურები აჩიან, სად მიდიან და რისთვისა; ძალიან დანიჭნდა და მოსასვენებლად წამოწვა. მწელარე ივან ივანიჩი დიდხან შინაჰყვდა უნოს, სარაიას, ქათმებს, რომელიც

დაბრუნენ ეზოში, და თავის გულში თუქ-  
რობდა: «უთალო, ღმერთო ჩემო, რა სახლის  
ხატონი ვარ! რა არა მატკეს და არა მუავს მე!  
ძივრინველები, შენობაები, ამბარები, რაც სულსა  
და გულს უნდა, ყოველი ნდობა, გამახდილი არა-  
ყო, დაუენებული არყო; ბაღში ძისლები, ქლია-  
ვები; ბოსტნეულში ხაშხაში, კომბოსტო,  
ძუხუდო... რაღა დამჩენია და რა არა მატკეს  
მე?... ნეტავი ვიტყოდო, რაღა არა მატკეს მე?»

ივან ივანოვი რაკი ასეთ ღრმა თუქრში  
შევიდა და ჩათუქრდა, ამასთანავე აქეთ იქით  
იხედებოდა და თვალებით ეძებდა სახლ ნიკ-  
თებს და ამ ცქერაში და მებნაში უცვბ და  
უნებურად ესეთს ხანახავს მიაწედა. გამხდარ-  
გამხდარს ბებერ დედავაღს რიგ-რიგობაზედ  
გამოჭეონდა დიდი ხნის შენახული და დაწყო-  
ბილი ტანისამოსი და გაბმულ თოკსედ ჭიუე-  
ნუნდა, რომ ნიავმა გადაუაროსო. მამინვე ჯერ  
გამოჩინა ძველი მუნდირი გამოცვეთილ მა-  
ჯებით, რომლის სახლებიც იქვე ჭაერში გამო-  
ფენილ თვარის ჯუბას ეხვეოდნენ. ამის შემდეგ

გამდიდრების სასწინაურად მუნიციპალიტეტის და-  
 ლებისა და მთავრულ სახელად; მერე—თუ-  
 რი ქიშპირის შალვარი, რამდენსაც, ივანე ნი-  
 კიფორი იტყვამდა რადისლაც, მას უამის  
 შინა, და რამელიც ეხლა ძლივს მარტო  
 თითებზედ ჩაეცმოდან; ამის შემდეგ გადმო-  
 კიდა მერე შალვარი, მსგავსი რუსულ  
 სარ . . . შემდეგ—ლურჯი უსწახური ხალხი,  
 რამელიც ივანე ნიკიფორი ამ რაის წლის  
 წინად შეიკერა, რაცა მილიტიაში შესულას  
 ავირებდა და ულვაშებიც კი მამინ დაიყენა.  
 ბოლოს, ერთი მერეზედ გამდიდრის იმ დე-  
 დაკაცმა ხმალი, ჭიკრიკი ამოშვერილ გუმბათის  
 მწვეტივით, მერე გამორინდა და გამართლდა  
 რადისლაც კალთები, მსგავსი რადისლაც ბალახ-  
 მწვანე ფერის კაბისა, თითო ნახევარ კლავი-  
 ტის ტოლს თითბრის დილებითა. ამ კალ-  
 თებს იქილამ გამორინდა და გამაჭყურებდა გარ-  
 შემო რქოს ბუნებრივით შემოვლებული ყი-  
 ლეტი, წინ დიდ ამოჭრილ გულის ბირითა.  
 ეს ყილეტი ძალე დაჭყურებდა განსვენებულის

ბებიის ძველმა იუბკამ; ამ იუბკას ისეთი  
 ჯიბეები ეკერა, რომ თითოში ჩეეტოდნ თი-  
 თო სწამთრო. ესე უოკელი ერთად წრეული  
 შქადგენდა ივან ივანიჩისათვის სასიამოვნო  
 სანახავსა; ამასობაში მზის სხივი ეტეპიან  
 და ანათებენ ზოგან ლურჯ, ან მწვანე მაჯებს,  
 კითელ ყოშებს, ან რომელსამე ნაჭერს ოქ-  
 როს თვარისას, ან მზის სხივები ეთამაშებიან  
 ხლმის წვეტსა და მსგავსად იმ წაღაცა გა-  
 საღაცარ საჩვენებელისა, რომელიც გაქნილ  
 ადამიანებს სოთლის სოთლად და კარ და  
 კარ საჩვენებლად დააქვთ და დაწანწალებენ,  
 მეტადრე როცა დიდი ხალხი მიაწვება სანა-  
 ხავად და შესტქერის ოქროს გვირგვინიან  
 ჭიროდე მეიებს, ან ანტონს, რომელსაც თხა  
 მაჭყავს; ამ საჩვენებელის უკან ჭიჭინი გაქვს  
 ჭიანურს. ბაშა კანტი დოლის და დივის მა-  
 გიუნად თითებით ტურებზედ უკრავს; მზეც  
 დაწურვანება, ჩადის, და ახალი სიტყვე სამხრე-  
 თის ღამისა თან და თან უჩინოდ და უხილავად  
 უთრო ძალიან ეხვევა, და ჩეკვრის ქოროვა მხარ-

ბეჭებს, მუძეებს და გულ-ძკერდებს ჩასხმულ და მასულ გამოერქახებში მცხაკრებ ქსლებსა.

პატარა ხანს უკან საუკუნადამ კვნიესათ გამომკრან ისევ ის ბუბერი მახსლე დედაკაცი და გამათრია, ზურგზე წამოკიდებული, ძველებური უნაგირი, ჩამოწეკტილ უხანგები-თა; დამბახების ტყავის გაცვეთილი და გახეხილი ბუდეები, და უაჯარი თქრამკედით ნაკერი, თითბრის ბალთებითა,—ეს უაჯერი ერთ დრას, თდესმე, აღისთვერი უათუილა.

— «ვანი რა სულელი დედაკაცია!» ითვიქის ივან ივანიჩმა: «გასათვენად, რამ ნიანამ გადაუარსეს, მკონია თვით ივან ნიკოთერჩირიც გამათრია!»

და მართლათა: ივან ივანიჩი თითქოს მიხვდა და ძალიანაც არ შესტდა. ერთ ხუთ მინუტ შემდეგ, ივან ნიკოთერჩირის ნაშურის შალვარი აღიმართა ჰაერში, რამელმანც დაიჭირა თითქმის ნახევარი უზას ადგილი.



ამას შემდეგ მოახლეებ კიდევ გამოიტანა და გამოვიდა ქუდი და თათვი.

— «ეს რას უნდა ნიშნავდეს? თავის გულში იფიქრს ივან ივანიჩმა. ივან ნიკოლოზის სახლში თათვი მე არას დრას არ მინახავს. ეს რატომ მოსვლია იმას? ის მსრფელად არ არი, თათვს არ ისვრის და სახლში კი თათვს ინახავს! რისთვის უნდა და რა საჭიროა იმისთვის? კარგი რამ ვია! მე დიდი ხანია თვალი მიჭირავს და შოვნა მინდოდა მაგისთანა თათვის: მე ძალიან გულათ მინდა რამ ეგ თათვი მე მქონდეს და ჩემი იყოს; მიუვარს თათვი, კარგი გასაჩთობი რამ არის. ეი, შენ, ბებერო! ბებერო, დაუუვირა, ივან ივანიჩმა, თითოთანიშნა და დაუძახა.

ბებერი მოახლე დედაკაცი მივიდა ღობესთან.

— შენ ეგ რა გაქვს, რა გიჭირავს ხელში, შე ბებრუტანავ, ეგ რა არი?

— «თქვენ განა არ ხედავთ, თათვია.»

— რეგორი თათუია?

— «ვინ იტის რეგორია! ეს რემ რემა იუოს, მაშინ კი მე იქნება მტრდნა, რეგორიან და რისგან ანი გაკეთებული, მაგრამ ეს თათუი ბატონისა.»

ივან ივანიჩი წამოდგა, დაუწყო თათუს სანჯვას უოკელ მხრიდა და იმაზე სანდურის და სანუკურის მიტემატ დააკვირდა, რემ რეგორი განბედა და ის თათუი ხმალთან ერთად ჩამოჰკიდა ნიავის გადასატარებლად.

ბებერ დედაკაცმა დაიწყო ისევე ლაზარაკი და სთქვა:

— «ეს, მგონია, რკინისა უნდა იუოს.»

— «ჰე! რკინისა. რისათვის და რის გამოს ეს რკინისა?» თავის გულში იფიქრა ივან ივანიჩმა.

— «დიდინიან, რატ ეს თათუი აქვს შენს ბატონს?»

— «იქნება, დიდი ხანიტ იუოს.»

— კარგი რემ ანის! სთქვა ივან ივანიჩმა. მე ვახოვ მაგ თათუს შენს ბატონს. ამას



ეგ წათ უნდა, რაში გამოსადგება? ან არა და მკო თოფს რასმეზე გაუცვლი. მას, ბებრეცა-ნაკ, შინ არი შენი ბატონი?

— «შინ გახლავსთ.»

— წამოწოლილია?

— «დიაღ, წევს.»

— მას კარგი; მე მოვალ იმასთან.

ივან ივანიჩმა ტანისამოსი ჩაიცვა, ხელში აიღო რაკ-რაკიანი ჯახი ძაღლების მოსაგურებლად, წადგანაც ქ. მიწდობრადში ძაღლები ადამიანებზედ უმრავლესნი არიან, და წავიდა.

თუმცა ივან ნიკითურჩიის ეზო იქვე გვერდით იყო და ზედ ეკრა ივან ივანიჩის ეზოს, და შეიძლებოდა ერთ ეზოდამ მეორე ეზოში კაცი გადაძვერალყო წნულ ღობეზედ, მაგრამ ივან ივანიჩი ქუჩის გზით წავიდა. ამ ქუჩიდან უნდა გასულიყო ვიწრო ქუჩაში, რომელიც ისეთი ვიწრო იყო, რომ ვინიცობასა ართავ მხრივ თითო ცხენიანი ჰოვოსკობი ერთი-ერთმანეთს შეჭებოდნენ, ვერც ერთი იმთავნი უკან ვერ დაბრუნდებოდა და ასე გა-

ჩეკრებულნი უნდა მდგარყუნენ აქნობა მდისინ, მანამ უკანა გორგოლაჟებს არ ასწევდნენ და ქუჩის აქეთა და იქითა მხარეს ისე არ გაათრევენ; ქვეითი ხალხი კი დაძვრებოდა ქუჩის აქეთ და იქით ღობის ძირებში. ამ ვიწრო ქუჩას დაჭყურებდა ერთის მხრით სარაია ივან ივანიჩისა და მეორის მხრით ამბარია, კარებები და საძურკედო ივან ნიკიფორიჩისა. ივან ივანიჩი მივიდა კარებთან და ურდული ისე დასწია, თითქო დანიქუნაო. ეზოში ატყუდა ერთი ძაღლების ყეიკვა; მაგრამ ძაღლები ისევე უკან გუდების ქნევით დაბრუნდნენ, რაკი დაინახეს და იტნეს თავის ნაღობი კატი. ივან ივანიჩმა გაიარა ეზო, საცა აჭრელეებული იყო და ირეოდნენ ინდოეთის მტრედები, რომელსაც ივან ნიკიფორიჩისა კენკსა თავის საკუთარ ხელით აძლევს ხოლმე; იქვე ეზოში ეყარა სანამთროს და ნესვის ქეჩქები, ზოგან მწვანელი, ზოგან დაძვრეული გორგოლაჟი, ან კასრის სალტა, ან რგოლი; იქვე გათხუზნილ ჰერანგში, ეგდო და გორაკდა ჰატარა ბიჭი; ამ გვარი სანახავი

მს. ტკაცროთ მოსწონთ! გამომთენილ ტანისამოსების ჩრდილი ადგა და ჭიკაძეკადა თითქმის მთელ ეზოს და ცოცხალად სიგრილეს ჭიკაძენდა.

ბებერი მოახლე დედაკაცი დახვდა ივან ივანის, თავი დაუკრა, სალაძი მისცა და გაშტეკებულსავით ერთ ადგილს გაჩერდა. სახლის წინ მოჩინდა მშვენიერი დერეფანი მუხის ბოძების სარეხათ, მზისაგან კარგი და იმედოვნით თავის შესათარისი, წადგანაც ამ დროს ძალა-რისიანში მზე არ ხუშტობს და იყვით მოძაკა-ლებულ კაცს თავით იყვანდის ცხარე რიულს და ხვითქს ასხავს. აქედამ გაშინჯეთ და შეიტყობთ თუ რა ძალიან გულთ უნდოდ და სურდა ივან ივანის იმ საჭირთ ნიეთის—თათვის შიკვან-მოხეობა, რომ ამისთანა დროს იმ სიტყვებთანაქებში სახლიდან გამოსულს გაბედა, თუძცა სამუდამოთ ჩვეულ იყო მარტო სადამოცობით კარში გამოსულს, სასეიროდ.

ერთხი, რომელშიაც ივან ივანისი შევიდა, სრულიად ბნელი იყო, იმიტომ რომ ივანჯაკის

დაწახები მოხურული იყო და მზის სხივს, რომელიც ადგა დაწახაში ამოჭრილ ნახვრეტს, ჰქონდა ტისარტუელის თვარი; ეს მზის სხივი, შექივით ეტემადა ჰინდაჰინი ოთახის კედელს და ზედ ხატავდა აჭრელეულ ჩაღატა სურათს: ლერწმით დახურულ ხანებს, ხეხილებს, ეზოში თოვზე გათენილ ტანისამოსებს, მაგრამ ესე უოველი გამახატულობა თავდაყირა ჩნდა იმ კედელზედ. ამისგამო მთელი ოთახი იყო ჩაღატა ნაირ მშვენიერ ბინდ-ბუნდში.

— «ღმერთო, შენ შემეწიე!» სთქვა ივან ივანჩიმა.  
— «აჰ! ივან ივანჩის გაუმარჯობს!» ოთახის კუთხიდან ვიღასიტ ხმა მოისმნა. ივან ივანჩიმ მარტო მაშინ დაინახა ივან ნიკიფორჩი ძირს დაგებულ ხალიჩაზე მწოლარე. «მომიტკეკეთ მე, რომ თქვენ წინაშე ვიმყოფები მე ბუნებითად.» ივან ნიკიფორჩი ძარტლან, უპერანგოთატი კი იწვა, ისე, დედი-შობილას.

— «ხაიფიკის. თქვენ დღეს გეძინათ, მოგისვენით, ავან ნიკიფორჩი?»

— «მეძინა, დიად. თქვენა, ივან ივანის, გეძინათ?»

— მეძინა.

— «მაშ თქვენ ესეს არი ესლას ამდგარხართ?»

— «მე ესლას ავდექი? უფალი თქვეთანს არს, ივან ნიკიორის! აქნობამდის ძილი რეგარ იქნება, ან ვის გაუგონას! მე ესესარი გომე-რებიდამ მოკუდი. გზას და გზას რინებელი უსნებია! მშვენიერი! და ბალახიც ისეთი მოსულია, მაღალი, რბილი და მომწვანა!»

— «ღოტინაჲ!» დაიუვირა და დაუძახა ივან ნიკიორისძა, «მოიტა და ძოართვი ივან ივანის ნაღებიანი ხაჭაპური.—

კარგი დარია დღეს.

«ნუ აქებთ, ივან ივანის; ჯანდაბას იქით იყოს ამისთანა დარი,— წავიდეს და აღარ მოვიდეს! სიტხისაგან არ ვიტვი სად გადვიგანჯო.»

— «ძინც არ დამალეთ, და ახსენეთ ჯანდაბა! აი ივან ნიკიორის, თქვენ რემი სიტყვას გზს-სოვდესთ, და მომიგონებთ, მაგრამ გვიან და იქნება: საიქიოხ გადაგხდებათ თქვენ მაგ-გვარ ღვთის-წინააღმდეგ სიტყუკებისათვის.»

— «ჩიტი და ჩეგოჩი განწყენინეთ მე თქვენ, ივან ივანინ? მე უჩიოეთ ანც მამა და ანც დედა თქვენნი ან მამისხენებია. ან ვიცი ჩითი განწყენინეთ მე თქვენ.»

— «საკმარისია და კმარა, ივან ნიკოლოზინ!»

— «ღმერთსა ვთხოვ, ივან ივანინ, ჩემ მე თქვენთვის ან მინყენინების ჩა.»

— «გასაწყინის, ჩემ მწყობი სტკვირის ხმა-ზედ აქნობადის ან გრეკლების და ან მადიან.»

— «თქვენ ჩეგოჩი გინდოდესთ და გენებოსთ ისე ითვიქეთ, მაგრამ მე მაინც ანსოვით ან მინყენინებია თქვენთვის.»

— «ან ვიცი, ჩეგოჩი მწყობი ან გრეკების», ივან ივანინი ამბობდა, თათქო ივან ნიკოლოზინს ყუჩს ან უგდებდა.

— «ან ვიცი, ჯერ კიდევ დრო ან ანი... თუ მაგრამ, დრო ისეთია ჩეგოჩიც. საჭირია.»

— «თქვენ ამბობთ, ჩემ ყანები კარგია?»

— «ჩინებული ყანებია და მშვენები!»

ამის შემდეგ ს რუმე ჩამოვარდა ამათში.

ბელას, ივან ივანიჩმა სთქვა: «რა! ეს რა ამბავია, ივან ნიკიფორი, ტანისამოსი ვაჩში გამოგითენიათ?

— «დიად, ძმუნერი და თითქმის სულ ახლათ ახალი ტანისამოსი დაძილვა მაგ წყეულმა დედაკაცმა: ესლა გავათენინე, რამ ნიავმა გადუაროს; წმიდა ძაუდია, რინებული, მარტო გადმობრუნება უნდა, ზირი უქცეო და ისეუხელ ახლად შეიძლება ჩაცმა და სმარება.»

— «მე იმათში, ივან ნიკიფორი, ერთი ნივთი მომეწონა.»

— «რამელი?»

— «თუ რეგი ხართი გაქვთ მითხარით, რათ გინდათ თქვენ ეგ თათვი, აი რამელიც გამოთენილ ტანისამოსთან აჩის?» ამ დროსვე ივან ივანიჩმა მიაჩთო ბურნუთი. «შეგიძლიან გაგიბედოთ და გთხვოთ ამ დავალებასზე?»

— «აჩა უშავსრა, ივალეობდეთ; მე რემ ბურნუთს მოვწევ » ამ დროს ივან ნიკიფორიჩმა თავისი ვაჩშიემა მოძებნა და ამოიღო თავისი რქაკოცოში, რამელიც ბურნუთს ინახავდა, კო-



ლათვის ნაცვლად. «გაი წა სულელი და  
ბრეუვი დედაკაცია! თათვიც იმ ტანისამოსებ-  
შია გამთუტანია და რამთუკადია! კარგი ბურ-  
ნუთია. ერთი უჩიან აკეთებს სარჩინცაში.  
მე არ ვიცი რას უჩევს ამაში, ესეთი სუნნე-  
ლიანი ვია! აგე იმასა ჭკავს ცოტადე. ახა აი-  
ღეთ, და ცოტა პირში გაღეჭეთ, მართლს იმის გე-  
ძე არა აქ? ივალეობდეთ!»

— «თუ რემა ხათრა გაქვსთ, მითხარით, მუ  
შანც ვადევ იმ თათვისაგენს ვარ: რას უხვავთ  
ან რაშია გამთაყენებთ თქვენ მაგ თათვს? ეც  
ხომ თქვენთვის საჭირო არ არის?»

— «როგორ თუ არ არა საჭირო? იქნება მაგ  
თათვის გაცლას მამინდეს!»

— «ღმერთმა შეგინახოს და უფალა თქვენთან  
არს, ივან ნიკიფორანი? რაღა თქვენი სრლ-  
ლის დროა? როდისღა უნდა ისრულეთ?  
მეორეთ მისკლას შექდეგ თუ? როგორც მე  
ვიცი და სხვებსაც მთავონდებთ და იცინა,  
თქვენ სიტყვებში ერთა რიტიც ჯერ არ  
მთავიკლავთ და უფალსა ღმერთსა თქვენი ბუ-  
ნება არც თუ ისე გაუჩინა, რომ თქვენ თათვი

ისწავლათ. თქვენ მძაბე, ჩინებული, დაწბანის-  
 ლური და წამოსადეგი შეხედულებისა ბძან-  
 დებით, თქვენ წოგოწ გეკადრებათ თრეკს  
 აქ იქ ჭახბებში, მეტადრე, წამ თქვენი  
 ტანისამოსი, წამელიც უთველ საუბარშია აწ  
 აწი ძანთებული და საკადრისი მონსენიანი  
 კაცმა თავის სახელით, ეხლანტ კი გაივნილია  
 თოკზე, წამ ნიანკა გ-დუაროს? მეზე? აბა  
 მძინ წა იქნება, წა გამოკა? აწა, თქვენთვის  
 საჭიროა სამშვიდე და მოსკენება.» (ივან ივანინი,  
 წოგოწტ ზევით აწი მოსხენებული, ძალიან მშვე-  
 ნიურათ ლანანაკობდა, მეტადრე მძინ, წოცა საჭი-  
 რთ იყთ წაშიმე დაეწმუნებისა ვინმე. წოგოწ  
 ლანანაკობდა, დმერთთ! წა საიწი ლანანაკი იცოდდა!)  
 დიად, ასე, თქვენთვის საჭიროა, წამ თქვენი  
 საკადრისი საქციელი იქონილთ და თქვენ შე-  
 საიუენად მთიქვეთ. გ-მიგე, მადი ეგ თოფი მე  
 მამეცით!

— «წოგოწ იქნება! ეს თოფი მკირთოსია,  
 მანისთანა თოფს ეხლა ვერსად ვერ იშოვნით.  
 ჰერ მე წოცა მილიციასში შესულას ვანარებდი,  
 მძინ ვიუიდე ეგ თოფი ტურჩინისაგან; და

ებლას ავიღო და ასე უტებ თქვენ მოგცეთ!  
 რაგონი შეიძლება! ეგ საჭირი ნივთია.»

— რისთვის არის საჭირი?

— რაგონი თუ რისთვის? ქურდები და  
 ავაზაკები რომ დეეტენ სხელსა?... რასაკვირ-  
 ველია არ არის საჭირი! განა? მაღლობს ღმერთს!  
 ებლას მე არხანათ და მოსკვენებითა ვარ, არც  
მეორესთვის ამ რამ მოწინააღმდეგეს, რა ჭქონ-  
დათ იმათ გასაყოფი, რა აზრის და მიზნის  
ჰიზრდაჰარობა ამოტყუდათ იმათ ერთს მეორეს-  
გან და მათ შუა რამის თხრიდა? რითა განი-  
რჩეოდნენ ისინი ერთმანეთიდგან?...



ჩვენდა სამწუხაროთ, სიძარტლის დასაცველათ, აქ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ამ ორ მთავარ-დაზარეს, რომელთ შუა დღესაც არ მოსპობილა ბრძოლა, მხოლოდ გაჩეკანი თვისებები აშორებენ, ტანისამოსი და სიტყვები. გრძნობით, მიზნით, ხასიათით ორნივე ერთმანეროს ღირს და ერთმანეროს ემსგავსებიან ასე რომ ჩვენ საზოგადოებას, ხუმრობა გაშვებით, სრული სიძარტლე და სათუძველი აქვს თქვას თავის წვერულვაშიან, გამაჭიბულ შვილებზე: «ესე არს ძვალი ძვალთა ჩემთაგან!..»

∴

ჭკვიანი კაცი ბრევიდან მით გაიჩიევს, რომ გაგონილ სიტყვას მხოლოდ უურადგობაში იღებს; და ნამდვილ მნიშვნელობას, კაცის ხასიათის დათვისების დროს, მხოლოდ იმ კაცის მოქმედებებს და ცხოვრებებს აძლევს, მერმე ისეთ მოქმედებებს, რომელნიც ამ კაცს დაუძნალებლათ, უეცრათ, გაჭირვებულ დროს მოუხდენია. ჭკვიანი კაციები აძობენ, ამ ნაირ მოქმედებებში სრულიად



ერთბაშათ სჩნდება კაცის ხასიათით, სიტყვები  
 კი ქარს გააქვს გამოაქვსო...

მოდით ეხლა, ჩვენც ამ ჭკვიანი კაცების  
 მაგალითს ავუკეთ, ცოტა ხნით ჩვენი ახალ-  
 გაზდების სიტყვები დავივიწყოთ და გაეშინ-  
 ჯოთ, რა ხასიათი სჩანს მათ საქციელში და  
 მოქმედებაში.

⋈

რადეი ჩვენ ამის გამოკვლევას შეუდგებით,  
 ჰირველ ჩვენ ნაბიჯათ შემდეგი კითხვა უნდა  
 გამოვთქვათ: რა მიზანი აქვთ ამ ჩვენ ახალ-  
 გაზდებს და რა რიგათ აწურობენ ისინი თა-  
 ვიანთ ცხოვრებას?

დაახ. ეს კითხვა აუცილებელი საგანია,  
 რომელიც უნდა იხმაროს კაცმა ვისმე ხასია-  
 თის გასაშინჯავათ: რა ჰსურს კაცს, — რას ას-  
 რულებს?

და რადეი ჩვენ ამ კითხვით ჩვენებურს ახა-  
 ლგაზდებს მიუყახლოვდებით, ჩვენ შემდეგ ზა-  
 სუხს მივიღებთ.

⋈

ჩვენებური სახლგაზღობა კაცია ბრუნდება სსს-  
წაკლებლიდან და ცხოვრებაში თუქს ადგამს  
უმიზნოთ, უზნოთ. იმას ან უკითხავს თავის  
თავისთვის, რა მოქმედებით, რა საქმის გა-  
რიგებით, რა სარგებლობის მოტანით, ერ-  
თი სიტყვით რა მიზნის მიღწევით უნდა  
შთაბეჭდოს იმან თავისი სახელი საზოგადო  
ცხოვრებაში, რითი და როგორ დაიმსახუროს  
თავის საკუთარ თვალში ის თავის, მადრიელობა  
ურთმლისათა ც გონიერი კაცის ცხოვრება ნია-  
დავი და დაუცხრომელი წვალებას...

ამ კითხვით თავის მტრეკის მაგიერათ, ის,  
უდაწდელოთ, დიმილით შედის ცხოვრებაში,  
მის ცალღას იძავს აძლეკს, იმ ამუდით სავსე,  
რომ თვითონ ცხოვრება მას რამე მიზანს  
უზრავს, საქმეს აუჩენს და მხიარულათ, შეუ-  
ნიშნავათ სიტოცხლეს გაატარებინებს.

მაგრამ ცხოვრება ისეთი კეთილი ჰატრო-  
ნი როდია, რომ თვითოეულს კეთილი ადგი-  
ლი და სასარგებლო, ჰატროსანი ახზარეზი  
აუჩინოს. ცხოვრება თავს ანებებს და აძდაბ-

ლებს იმას, ვინც თავისი საკუთარი ღონით თავისი გონებით მას ადგილს არ გამოტაცებს და თავის ნებაზე არ გადააკეთებს. ამის გამო ჩვენი ახალგაზრდების ჰარკელი ნაბაჟენი პრაქტიკულ ცხოვრებაში ეკლით და განსაცდელით სავსე არიან.

მათ განაზებულ ბუნებას და ხასიათს ამ განსაცდელის და ეკლების ატანა რომ შეეძლოს, ეს განსაცდელი, ხასიათის დამტკვრევის მაგიერათ, აამაღლებდა და გააძლიერებდა ჩვენ ახალგაზრდებს. მოთმინებით, დაუღალავი შრომით, მახერხებით და გამბედავობით იმათ ახალი გზის გაკაფვა, ახალი საშუალებების გამოძებნა რომ შეეძლოს, ცხოვრება ადრეთუ გვიან ერთიანათ დაემარჩილებოდა მათ შეერთებულ ძალას, და ისე გაიწყობოდა, როგორც ახალგაზრდებს ბუნება და გონება მოითხოვდა.

მათდა საუბედროთ, ჰარკელივე ეკალი სრულებით აუძლურებს მათ ჩივილ და უღონო სიუფლს. ისინი ჰარკელივე განსაცდელის წინ

მკლს იდრეკენ, და უძლეურათ გამკლელ გამომკლელს დახმარებას ეკედრებან... რა გინდ გულკეთილი იყოს მათი განსაცდელის დამსწრე, რომელიც ამას წინათ მათ ტრახასული სიამაყის და ქაღილის მოწამე იყო, იმას არ შეუძლია შეუჩინებლად არ მოექცეს და ორი-ოდე წიხლი არ ჩააზილოს სულმოკლე დატემულს...

∴

რაში მდგომარეობს ეს დაცემა!

იმაში, უმეტეს ნაწილათ, რომ ახალგაზღვრებში ცხოვრებაში თუხის შედგმის დროს, გაზეპირებულ სიტყვების იხსენებს, და ამბობს—ვთქვას—რომ უპატრონობა ის კაცია, ვინც თავის საკუთარ დირსებას ივიწყებს, საზღვრობის გულისათვის.—მაგრამ, ცოცხალი ხნის შემდეგ, როცა თვითონ ამ ახალგაზღვრებს კაცს ცხოვრებას უძნელდება, და უღატკობათ საცხოვრებელი საშუალება ელევს, ის ნელნელა წელის ხვრას ეჩვენებს იმისთანა ზიარებას წინ, რომელზედაც საშუალების მიტემა და მოკიდებული... წელის

ხვრას მოსდევს ამ ჰირობის ნებაზე სიარული, მათა სსსიამოვნოთ ისეთი მოქმედება, რომელზედაც უარს ამბობდა უწინ ახალგაზდას სინდისი.—როცა ახალგაზდას ეს უკანასკნელი გარემოება ახსენდება, ის თავის სინდისს იმ სიტყვებით ამშვიდებს, რომ «კაცმა როგორმე თავი უნდა იჩინოსო,» და რაკი ეს აზრი ერთხელ მის ტვინში ჩაინერგა, ახალგაზდა უფრო და უფრო სტოპავს თავის ახალ მოქმედებებში...

‡

მაშინ ძველი საზოგადოება თავს მძლავრად იღებს და ამაჟი სახით ამისთანა ახალგაზდას მიათითებს. — «დახედეთ, ამბობს ის, როგორ მალე მოტყდა ემაწვილი! ამისთანა საფუძვლიანი არიან უკელა ეს ბატონები!...»

და როცა ჯერ კიდევ მოუმტყდარი ახალგაზდები მომტყდარს შეურაცყოფის სიტყვას ესკრიან, გაბრაზებული ახალგაზდა ერთბაშით ივიწყებს თავისს უწინდელ სიტყვებს; და

ეწიბაშათ შექმენი, მიფორთხველი და მლო-  
კველი ხდება...

:|:

მაშინ იწყებს ახალ ნაირი მოქმედება:  
რაც ახალგაზღვა კაცისთვის სწავლას, გამოც-  
დილებას, უცხო ქვეყნების ნახვას და სწო-  
გადო მდგომარეობას ღონის ძიება და ძალა  
მიუტია, ყველას ის იმ სწოგადობების და  
ხალხის სავნებლათ ხმარობს, რომლისგანაც  
ის თვითონ გამოსულა. ის იწყებს იმ ბნელ  
ხალხის მოტყუებას, რომელსაც არც თავის  
დაცვის, არც სძაგეირო გადახდეკინების საშუა-  
ლება აქვს. სწავლაში გაწვრთნილი გონება,  
გამოცდილებით გაძლიერებული ხასიათი ებრ-  
ძვის გამოუცდეელ, ბნელ ხალხს, იმ განზრახ-  
ვით, რომ მის ხმელ და სუსტ სწრდოს რა-  
მე ნაწილი ჩამოაკლოს თავისი ჩიფუნთრეშე-  
ბული, განაზებული სხეულის სსსარგებლოთ...

:|:

ამ ძველებური საქმის წარმოებაში, ისინი  
ყოველთვის ძველებურ ჩვენ მამაჩვენს საშუა-



ლებს ხმარობენ, ან და, თუ ამ გაცემებში  
გზას სცილდებიან, იმ მიზნით შერბიან  
ამას, რომ დაძველებული, გათადლითებული  
და დაუძლიერებული საშუალების მაგიერათ,  
ხალხის დასამორჩილებლათ და გასაკნეჭათ,  
მათ ახალი, ემჯობესი ღონისძიება მოუაზ-  
რებიათ...

⋈

როგორც უწინ ხალხის მკრეჭლები თავი-  
ანთ ძალას სხვა და სხვა ზილების გაცალ-  
ცალკავებაზე, ზოგას დამორჩილებაზე, ზო-  
გის წინ დამცირებაზე, ათუქმნებდენ, სწორეთ-  
ქლაც იმნაირათვე მოქმედებენ ჩვენი ახალ-  
გაზდები. მ შინ, როდესაც ეხლანდელ სწავ-  
ლას ერთი მიზანი უძევს—უკელას სარგებლო-  
ბის დათანხმება, უკელასი შუერთება, დაამს-  
ნაგება, როცა ახალგაზდა მთელი თავის ღონ-  
ის ძიებას ამ გვარ შეერთებას უნდა ალეკ-  
დეს, ის უწინდელურათ განხეთქილებას სთესს,  
და სწოგადობის გაცალცალკავებაში თავის  
სარგებლობას ეძებს!



†

როგორც უწინ გაცხილ ჰორებს სალამა-  
რაკოთ, საქადგოთ ტკბილი სიტყვები მქო-  
ნდათ აქსადებელი, და ცხოვრებაში ჯი თსი-  
ნა ამ სიტყვების წინააღმდეგ თ იქტეოდენ;  
ისე ეს ახალგაზრდები ქადგობენ ზეტოას-  
ნების დაცვას, და თავის გონებას რძდენიმე  
თუმნათ აქარავებენ, ქადგობენ უჩინარებას,  
და ბოელ სიტყვებს მდიდარი საცოლოს  
ძებნაში ლევენ, ქადგობენ მდაბალ ხალ-  
ხის სიუვარულს და მასზე გაცემულ მიწაში  
მამასისხლის ივასს დალათ ახდევინებენ, — ქა-  
დაგობენ თავისთულების სიუვარულს, და  
თვითონვე თეხქვეშ უგონდებიან ეკელას, ვი-  
სიტ ჯი ერთი ნამტეცა მალა და გავლენა აქეს,  
ერთი სიტყვით, ურველთვის და უკუდათერში  
მათი მოქმედება მათ დასათიან სიტყვებს  
გწინააღმდეგება და არდევს...

†

ეს ჩემი სიტყვები რომ ამისთანა ახალგა-  
ზრდას გააგონათ, ის მამინვე უჩუბებში თა-

თებს დაიტყვის, და გელ-მწარემ გეტყვის,  
— ტყუელია, მე ჩემი სინიდისის წინააღმდეგ  
არ შიშობქმედიანო...

— არ გეგონოს, მკითხველად, რომ ის ტყუ-  
ვის, რატომ ამ სიტყვებს ამბობს; არა, ის მართლაც  
შტკვიტვით დარწმუნებულა, რომ თუ თავის დღე-  
ში არ უთქვამს «ღალას გამართმევა უსამართ-  
ლობაზე», ნება აქვს ატყუავოს მიწის მქა-  
რავებელი გლეხი, რომელსაც მის გარდა იქები  
მოსატყუელი არა აქვს...

⋮

მიბრძანდით, და აუხსენით ამ ხალგაზრდას,  
რომ ის კაცია, რომელიც სხვას უმტკიონობა  
მოქმედებაში ამტყუენებს, და ჰტკიონს, სინი-  
დისიან მოქმედებას უჩივებს, ის კაცია მეთქი  
კალდებელი უნდა იყოს თავისი სინიდისის  
წინ ნიადაგ იმ დარბეებას სდეკდეს, რომელ-  
საც თუთონ სხვას ამლევდა. — მიბრძანდით,  
და აუხსენით ამ ხალგაზრდას, რომ იმ კაცს,  
რომელიც ბატონ უმობის მოსმობას ქადა-  
გობდა და ჩვენ ნაბატონარებს შაკი ქვით

ქოლავდა, მათი სარგებლობის დატვის გულის-  
 თვის, იმ კაცს სინადისი გათავისუფლებუ-  
 ლი გლეხების სულ ახლავ ბატონებურ მდგო-  
 მარეობაში ჩაყენების ნებას როდი უნდა აძლე-  
 ვდეს. მოდით, და აუხსენით ამ ახალგაზდას,  
 რომ იმან თვითონ სწორეთ ისე უნდა მოე-  
 მყოს მისი მიწის მოქირავე გლეხს, რო-  
 გორც ის თვითონ თხოულობდა, რომ მება-  
 ტონე თავის უახსნს მოქცეოდა.—ის არც კი  
 დაგიჯერებს, რომ ამ რა მდგომარეობას შუა  
 რაბე კავშირა და მსგავსობა იყოს. ის დარწ-  
 მუნებულა, რომ რაკი იმას მებატონეს მა-  
 გიერათ სასულათ მიწის ბატონი დაერქვას,  
 იმას აღარათყერი მარიდება და ხათრი აღარ  
 მართებს გლეხ-კაცის წინ, მაშასადამე იმას  
 შეუძლიან დამშვიდებული სინადისით ამ გლეხ-  
 კაცის შევიწროება და გაკნაჭა, თუცა ამ  
 გლეხს მის მეტი გზა არსაიდა აქვს...

⋮

თუ მოხდა როგორმე სასწაული, და ახალ-  
 გაზდა დარწმუნდა როგორმე თავის მსგავსობა

ბაში უწინდელ მებატონესთან, ის მაშინვე იმას გეტყვის: არა უნდა ვქნა, რითა ვინჩინო თავი,—ხომ იცი, კატს თავის რჩენა უნდა, განსაკუთრებით რაღაც რაჯანი და ნბთელისკები უავს... ჩვენში სხვა რიგათ თავის რჩენა შეუძლებელია. ან უნდა შევიდე სამსახურში.... ან და რაღაც მიწა წყალი და ტყე დამჩრჩინოს, ის მიწა უნდა ვასარგებლო...»

სეთიოდე ამისთანა ხალგაზდას უერი რომ დაუგდო, დარწმუნდები, რომ ჩვენ ქვეყანაში კაცი მუდამ უფლებად ხელ დაკრეოილი უნდა იქდოს, ამიტომ, ვითომ, რომ ჩვენში არც სექმეს ხეირიანი, არც შრომა შესაძლებელი და დამაჯილდოებელი, არც ღონისძაებას,—უღესებას შეიწროების და სანახურში შესვლის გარდა...

მარათალია ეს?

:f:

ვინც ერთი წუთის ვადით ჩვენს მამულს დაუკვირდება და ჩვენს ელანდელ მდგომარეობას გახსენებს, მაშინვე დაინახავს, რომ ჩვენში ღუთის მადლით, უკუდავიერში სიუხვე,

მტოდნე კაცების და მოხერხების განდა-  
სათაც უნდა მიახედოს კაცმა, უკელა  
მხრით დაუწყებელი, ჩინებელი, გამოსადეგი,  
საქე სჩინს, ისეთი, რომ მისი შესრულება  
აიხსჯერ უფრო მეტ ხერხს მისცეს კაცს,  
მანემ გლეხების შევიწროება, და თან მთელ  
სახოგადობებსაც სასარგებლოთ დარჩება. სა-  
იდაც უნდა მიახედოს, უკელა მხრიდან ჩვენი  
მაძულის ბუნება მტოდნე მოძულელის ხელს  
ელის ზგერ რამდენი საუკუნეა, და კერას ედი-  
რისება, ყოველგან სჩინს ხელ მოუკიდებელი სიმ-  
დიდრე, გამოუყენებელი ძალა, და არსაიდან  
კაცი არ ჩნდება, რომელმაც ეს სიმდიდრე და  
ძალა შესძინოს ქვეყანას...

⋮

ჩვენში, რაგინდ მტკიცე და შეურყეველი  
ჯემპარიტება გამოთქვას კაცმა, თუ ეს ჯემ-  
ძარიტება მაგალითით არ გამოხატა და ხელის  
მითათებით არ გამოთქვა, მას სიტყვებს არა-  
თკერი გავლენა არ ექნება. ახრი ჩვენში უსა-  
თუოთ მაგალითით, ზღაპრით უნდა გამოი-



თქვას, თორემ იმას კერძო გავიგებ. — აქედან  
მე ორიოდე მაგალითი რომ არ მოვიყვანე,  
უიშისათი არავან დაძაბულებს, რომ ჩვენ ქვე-  
ყანაში ახალგაზდობას რისმე გარიგება და რა-  
მე სარგებლობას მოგვანა შეეძლოს.

∴

ავიღოთ, მაგალითად, რაჭახობა, მეურნეობა.  
ბა. არც ერთ ქვეყანაში ეს საგანი ისეთ და-  
ცემულ მდგომარეობაში არ არის, როგორც  
ჩვენში. მეცხრამეტე საუკუნეში, ჩვენ სწორეთ  
იმ იარაღს ვხმარობთ მეურნეობაში, რომელიც  
ნათესა წარღვნას დროს თავის კიდობანში გადურ-  
ჩენია, და იმავე წესით ვხმარებთ, ვთვით, მოსა-  
კალს ვიყვანთ, როგორც ნათესა დროს. იმსაქმეს,  
რომელსაც ეხლა ეკრძაში და რუსეთში ორი  
კაცი უნდა, ჩვენში — ზოგი უთულობის და უთ-  
რო მეტი უმეცრების გამო — ოცი და ოცდა-  
ათი კაცი ჰკვდება; იმ მიწიდან, რომელიდგა-  
ნაც ხეივანი შემამულე რუსეთში და სამ-  
ზღვარს გარეთ ათ სანჯე დვინოს ან ზურს  
მოიყვანდა, და თან ბალახითაც ისარგებლებ-

და ან სხვა წვრალმანი საგნებით, ჩვენში მეოთხედ სახანეს ძლივს იღებენ. რა მიზეზით?—იმით რომ ჩვენა მეოჯახენა უმეტრები არიან, და უკეთესი საქმის გაწეობილებს არ უნახავთ.—მაგრამ რათ არ უნახავს ეს გაწეობილებს ჩვენ ახალგაზდობას, რათ არ ბიუტჯეტის იმას უურადღებს ამოდენა ჯახის და სიმდიდრის კარგვისთვის, რათ არ შეუგონებია იმას მამულის მეპატრონესთვის გაუმჯობესობის, ახალი წესის და იარაღების სარგებლობა?

ამბობენ, ჩვენში იფული, შეძლებს არ არის, რომ ახალი იარაღი შემოიღოს კაცმა.— ღებერთა, რა უხეირა და უსათუქლო აზრია ეს, და რამდენი ხანია იმეორებს ამას ჩვენი საზოგადოება ისე, რომ არავის მისი შემოწმების განხრახვას თაკმა არ მოსვლია.— მიბრძანდით, ახა, იფითის დამოქნაში, ან იფითის და თფილისის ტრანსპორტების და კამისიონრების კანტარებში, და იკითხეთ, რამდენი აბრეშუმეულობა, ბეწვეულობა, წმინდა



ნაქსოვრება, პატისტი და წმინდა ტილო, ლქრო, ჟერცხლი, წვრილმანი ნიკოთეულობა, ძვირიასი ქვა და მარგალიტი, ერთი სიტყვით რაძდენი ისეთი საგანი მოდის ჩვენ ქვეყანაში, რომელნიც საზოგადოებისთვის პირველ საჭიროებებს არ შეადგენენ. იანგარიშით, რაღა მოდის ეს საგნები, ვინ იხდის მათში იუულს, და მაშინ მე დიდის სიამოვნებით მოგახსენებ, რომ იმ იუულის მეორესულით რომ ჩვენმა საზოგადოებამ შეიროვნა იარაღი, თესლები და სხვა სამეურნეო კარგობილები გაძლიეროს, და მეორე მეოთხედის ხეიროვნის, ნიჭიერი ყმაწვილების ხეიროვნით ხამეურნეო ნაწილში დასხდელათ მოიხმაროს, ხეიროვნით წლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე გაათდებოდეს ძირით, თუ არ გაოცდებოდეს...

ეს, მეორეა, რხადი საქმეა. კარგი, ეხლა ეს მიბრძნეთ, რათ არ იხმარა ჩვენმა ხალხმა რაღა რაღა ღონისძიება, რომ ჩვენ საზოგადოებაში ესაჩვენებოდეს, მიმბრძნეთ პრინ-

ჭიბობს მოესპო ან და შეემტირებინა, და სასარგებლო საქმეზე მოეხმარებინა ის იყოფი, რომელიც დღეს ესარგებლათ ჭინჭებშია და სხვა ამხვე გვარ საზნებში იგარეგება. აუხსმარია რომდისმე ჩვენ ახალგაზრდობას ერთი მძინტე საძმუალებს, ენა უაურძრევე ა მძინტე ამ მიზნის მისაღწევლათ? — ანაიდან სად! ამის მჭვიერათ, იმას თავისი საკუთარი ქანგბა, თავისი დედამის და ცოლ შვილის შეძლება გადაეღევინა მაგნიანოვე ბრთიუველ და მიმბამკე პრანჭიბობაზე....

⋮

ავიღოთ ეხლს, მუყრნეობის მაგდერათ, ვააჭრება, და ვნახოთ, რისი განრიგებს შეუძლოა ამ საქმეში ჩვენ ახალგაზრდობას და რა უნდა ექნა იმას ამ ასპარესზე.

ჩვენში «ვაჭრობა» თითქმის არც კია ჯერ დათუემკნებული. გამოდის სრულიად უმეცარი კაცი, რომელსაც ათი წელიწადი დუქანში გაუტარებია და მარტო ბაზრული ხეხილი უსწავლია, გამოდის ამასთანავე კაცი, სამოცნი, სამოცნდართ

თუმცათ, რომელიც იმას გრამობით შეუგ-  
როკებია (მაღალმა ღმერთმა იცის რა გზათ!)  
და მანთავს თავის საკუთარ ღუქანს, ვაჭრო-  
ბას, «აღებ-მიცემლობას.» ვითხეთ, აბა, რა  
არის აღებ-მიცემლობათქო, და ხელს მოვი-  
ჭრი, თუ არ გიპასუხებს: «თუელს ავიღებ,  
საქონელს მივცემ,—აი, აღებ-მიცემლობაც  
ეს არისო.» შატერელზე შეაგროვებს ის მრავალი-  
ადე ან მეტ იუმანს, ზოგ ნასესხს, ზოგს  
ნამზითვს, და მიდის «მკაჩრისა», საიდანაც  
მოაქვს საქონელი, ზოგი ნაღდ თუელათ, ზო-  
გი ნისიათ. ამ საქონელს ის ჩვენში ნასუი-  
ლობაზე ერთი მრათ უიღის, ან მეტ ნაკ-  
ლებათ,—და გაყიდვის დროს მხოლოდ იმას  
ცდილობს, თუ რა გზით, როგორ წაადლი-  
ტოს მუიდველს მრითადე ჩამეტანი გრამი.  
—ამას ჩვენში ვაჭრობას ეძახიან.

∴

ეხლა მიბრძანეთ, რატომ არ იცის ჩვენმა  
ხალკანდობამ, რომ ეს ვაჭრობა ვი არა,  
ღმერთმა იცის, რაა? როგორ არ იცის იმან,

რომ ვაჭრობა იმაში მდგომარეობს, რომ მოხერხებული, აზრიანი, პრაქტიკოსი კაცი ცდილობს შეიტყოს, რა ადგილს იშვებებს იასთან რომელიმე საგანი, რა გზით უფრო სხეიროს ამ საგნის გადატანა, და რა საშუალებით შესაძლებელია ამ საგნის საჩქაროთ გასაღება, რომ მასში გატეხული თუელი ძალე უკან დაბრუნდეს, და ხელმოკრეთ ახალი საგნის მოპოებაში და მოტანაში გამოსადგეს? რატომ არ იცის ჩვენმა ახალგაზდობამ, რომ ვაჭრობა იმასაც კი უნდა ცდილობდეს, რომ ჩვენი ქვეყნიდან, ნაღდი თუელის მაგიერათ, ისეთი საგნები გაჰქონდეს, რომელთაც ჩვენში გასაყვანი არა აქვთ, მაგრამ სხვა ადგილებში კი კარგი ფასი ადევთ? რატომ არ იცის ამ ახალგაზდობამ, რომ ჩვენში ამისთანა საგნები ძალიერ ბევრია, და ჩვენი ქვეყნის სიკეთე იმას ითხოვს, რომ ამ საგნების გასასაღებელი ადგილი და გზა მოძებნოს ვაჭრობამ?

რადღაც დაბნელები უნდა, რომ ეს დაბნელები ჩვენი კაჭრები ამ დაბნელებებს ვერ ხასრულებენ, ამიტომ რომ მათი აზრით ქვეყანაზე თბილისის და მკარხის მეტი ადგილი არ არის, და ვინც მათგანმა მოსუფის და «მხრელების» ან «მაჩესტერის» სახელი იცის, — ის ხომ ღვთისგან გახედნიერებული კაცი. — უეჭველია, რომ ამ დაბნელებების ასრულებისთვის აუცილებლათ საჭიროა, რომ კაჭრებს ხელი მოჰკიდონ ხეირიანმა, გონიერმა და ხასწავლმა აზრებმა, მაგრამ რათა არ მოუვიდეს ამ საქმისთვის ხელი ჩვენ ახადგანდობის? განა ეს გზა ნაკლებათ დააჩვენდა იმათ, მინემ სძმსახური? განა ამის გარეგება მხელი იყო?... არა, აქ არც სიძნელე უშლიდა იმათ, არც საშუალების უქონლობა: ისინი გატნობილნი არ იყენენ პრაქტიკულ ცხოვრებასთან, და იმოდენი ხასიათი არა აქვთ, რომ ბრიუკების დატინვას და შეურაცყოფას უერი არ უგდონ, და ხეირიანი მოქმედებით და სარგებლობის მოტანით აამაღლონ



ის საქმე, რომელიც ეხლა დაცემულია უკაცობისაგან და უბეტარი ჰარების ხელში ჩაკვადნისაგან.

⋮

მე მოვიუვანე ორი მაგალითი; ადგილი რომ ძქონდეს, ათ ამდენს კადეკ მოვიუვანდა, და უკელსაგან ერთი აზრი ნათლად დამტკიცდებოდა: მოხერხებულ და გონიერ ახალგაზდებს ჩვენში ბევრი საქმის გარიგება შეუძლია, და კიდევ უნდა გაეროებია. და თუ ჩვენ ახალგაზდობას ამ საქმეებისთვის ხელიც არ მოუკიდია და არც კი შეუნიშნავს მათი არსებობა, ეს იმას ამტკიცებს, რომ ეს ახალგაზდობა გაუნათლებელი და უნიჭო, უხასიათო ჰარებიდან იყო შემდგარი...

⋮

ამ საუბარს რომ თვალი გადავაკლე, ერთი კიდევ რამ გამახსენდა: უოკელ საზოგადოებაში თვითოეულ თაობას თავის საკუთარი ცვირთი აწევს, და ისტორიულ ცხოვრებაში უოკელ თაობას უნდა შეუძლოს თქმა: ჩემი

მხრით, მე ეს ახალი სასარგებლო მთავრად  
 ჩემ ხალხს, ეს ახალი სინათლე ვაჩვენე; ახა-  
 ლი მალა შეესძინე და ახალი გზა გაუხსენი  
 უკეთესი ცხოვრებისკენ.— შეუძლია ჩვენ ახალ-  
 განდობას გულზე ხელი დაიდვას, და თქვას;  
 ეს სიტყვები? მე დარწმუნებული ვარ, რომ არა.  
 მაშ რუ დავიკვირებთ, რომ იმ თაობას, რომე-  
 ლსაც ამ სიტყვებს თქმის უფლება არა  
 აქვს, ისტორიის სწორეთ იმგვანათ თვლის,  
 როგორც ცხოველების ჯგუფს—რომელიც მხო-  
 ლად მით ასარგებლებს ქვეყანას, რომ მთ-  
 მოკვებულ მანდორზე ნაკელს ურის.





# მკვარის წერილებიდან

## I

.....

## II

ამ ყოფით განუმორღი ვლადიკავკასს და პირი  
ჩემის ქვეყნისაკენ ვქენი. თერგის სიღრმედ ისე გა-  
მოვიარე, რომ, არამც თუ წყალი დამელიოს, თვა-  
ლიც არ ამიხილებია. მეშინოდა, რომ თერგ-დალე-  
ულობა არ დამწამონ მეთქი. თერგ-დალეულები  
ჩვენს ქართველს კაცს როგორღაც არ ეჭაშნიკება &  
არ მოსწონს. ამასეღ ფრინად საფუძვლიანი საბუთი  
აქვით: პირველი, იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგ-  
დალეულები მართლა & თერგ-დალეულები არიან,  
მეორე, იმიტომ.... იმიტომ, რომ მეორეთაც თერგ  
დალეულები არიან, მესამე, იმიტომ.... იმიტომ...  
იმიტომ, რომ მესამეთაც თერგ დალეულები არიან.  
მოდე & ამისთანა ჭკვიანური საბუთი სხვა საბუთით  
დაურღვიე ჩვენს დარღვეულს ქართველობას.

ეგ დასაღუშავი თერგი! რა ორზირი ყოფილა!

დასე, როგორ მიმკვდარა. რაკი ზურგი ჩვენკენ უქმნია ჯ ჰირი რუსეთისაკენ, რაკი გაუძინდვრებიან ჯ გაუგანია. როგორღაც ის დეკემბრული სისხისუკვლია. ჩვენი დამთხვეული თურგი ვლადიკავკასთის ის თურგი არ არის, რომელზედაც ჩვენს პროცეს უთქვამს:

«თურგი რის, თურგი ღრიალებს, კლდენი  
ბანს ეუბნებია».

იქ ისე დამდოვრებულა, ისე მიმკვდარა, თითქო ან როზუ ქვეშ არის. გატარებულა, ან დიდი ჩინი მიუღიაო. მაგრამ იქნება თურგი იქ კვრე იმიტომ მიჩუბებულა, რომ მოხანე კლდენი კვრდთ არ ახლავს, ის კლდენი, რომლის:

«კლდოვანთა გულთა ღრუბელნი შავთა ზედ  
დაწოლიან»

«მრისისხებით ქვეყანას წარღვნითა ეძუქრებია».

მაგრამ მაინც ჯ მაინც ვაი შენ, ჩვენო თურგო! შენ, ჩემო ძმობილო, ზოგიერთ-გაცხავით სხვა მისულსარ, იჭურო ქუდიც დაგვირავს. ცოდვა არ არის შენი ჭექა-ქუხილი, შენი ზარბაზნი სმაურობა, შენი შოთოვა ჯ ფოთოვა, შენი გაუთავებელი ბრძოლა ქა-კლდე-ღრუბთან, თითქო შენი განიერი წოდელი შესს ვიწრო ხაწოლში კერ მოთავსებულაო. ბევრი რამ სავულის ყურთა შენში, ჩვენი დაუძო-

ნაკო თერგ, შესს ძლეკა მოსილს ჳ შეუზოვარს  
 დენაშია. აქ კი მიმსკხალხარ დამარცხებულ ჳ ნათ-  
 რეკ ლომსაკითა. ცოდო სარ ჳ ცოდვას შერები!...

ჲე, სოიულო, რაშიგან სარ, რას გვებრუნებ, რა  
 ზნე გჭირსა? »

შუა დღე იყო, რომ ლარსის სტანციისში მოკე-  
 დი. ლარსამდი ჩემმა გულმა კერათერი განსაკუთრე-  
 ბითი სიამოვნება ვერა მიიღო რა, გარდა იმისა, რომ  
 რამოდენათაც ჩემს სამშობლოს ჭკეყანას ვუახლოვ-  
 დებოდი, იმოდენად გარემო ბუნებას ჩემი ჭკეყნის ფე-  
 რი ემატებოდა ჳ თერგს შფოთვა ჳ ლელვა.

შეკედი სტანციის ცარიელს ოთახშია. ჩაის და-  
 ლეკა მიხდოდა ჳ ამის გამო სამოვარის დადგმა  
 შეკუთვრეთ ერთს ფეხმოტეხილს სალდათსა, რომე-  
 ლიც ბოდოს სტანციის გუმაგად გამოდვა. შინამ  
 სამოვარს შემოიტანდნენ, მივწექ გაფიცრულ-ტახტ-  
 ჴედ ჳ თავი ფეჩრებს მიკეცი. ოთხი წელიწადი იყო,  
 რაც მე რუსეთში ვიძყოფებოდი ჳ ჩემი ჭკეყანა არ  
 მენასა. ოთხი წელიწადი!... იცი, მკითხველო, ეს  
 ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! შირველი,  
 რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ჭკეყა-  
 ნას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხო-  
 ვრების სამირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა,  
 ბეწვის ხიდი სიბნელისა ჳ სინათლის შუა, ბედისა

გან გადებულა. მაგრამ უკვლასათვის კი არა. მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა აკარეშოს, ტვინსა და გულს მოძრახობა მიჭსტეს, ფეხი აადგმეკინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინში და გულში გამოჭკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტკვანიც გამოვა და ძალა-უურძენაცა. ჭოი, ძვირფასო ოთხი წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთან ქვეშ არ ჩაჭსტედომია, ნეტა იმას, ვინც შენ რიგიანად მოგისმარა.

## III

რაკი ფლადიკაკვასიდან გამოკვლ და ჩემი ქვეყნის სიომ დაძვრა, გულმა სულ სხვა რიგათ დამიწყო ფეთქა. პოვოსკაში უკეთესთა ფიქრთა ქვეშედ ხათქა-ხეთქი დამიბსეკდა ხოლმე. ახლა კი, როცა სტანდის ოთახის ტახტზედ მამა პაპურად გავიშოტე, ღვთის წყალობა შენა გქონდეს, რომ მე ფიქრს მიკვნი სრული ჩემი გულის ყური და ყურადღება. ჭკუფად მომიგროვდა უკვლათერი რაც კი დამეტოვა ჩემს მშვენიერს პატარძალსავით მოართულს ქვეყანაში, რაც კი შენახა, მეცადნა და მეცნო. მრავალ ხაირი ფიქრები ერთად, რეულად გონების ოკლწინ წარმომიდგინენ, მაგრამ კლვის უძალეს ერ-

თი უიქრი მეორეხედ მეცვლებოდა. ასე, რომ ჩემი გონების თვალი ერთ ღ იგივე სავანხედ ერთს წუთსაც ვერ გავახერე. ერთის სიტყვით, ჩემს ტვინში სრული რეკოლუცია მოხდა: ძირს მილაკებულნი ფიქრები მაღლა მოექცნენ, მაღლა დაღაგებულნი ძირსა ღ მერე აირივნენ ერთმანეთში.

ამ ყოფაში ვიყავ. ბოლოს ჩემთა ფიქრთა ყოველმა თავისი შესაფერი ადგილი დაიჭირა ჩემს გონებაში. მათ შორის ერთი უფრო, ბრწყინვალედ გამოძესტა, იმ ერთს მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე ასე. ანომ ბოლოს სულ ყოველნი ერთად ერთ რთულ ღ ზედ მიყოლილ გრესილად შემექმნენ. როგორ შეკეურები მე ჩემს ქვეყანას ღ როგორ შემეურება იგი მე, ვიფიქრე: რას ვიტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს ღ რას მეტყვის იგი მე? გინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა ღ აღზდილსა; იქნება ზურგიც არ შემაქციოს, იქნება მიმიტვისოს კიდევ, რადგანაც ჩემში მაინც ღ მაინც ჩემის ქვეყნის ღვრიტაა დადებული, მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მაძიულოს ღ მაძიბოს თავის აშაგი ღ მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ ვავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდევ ღ როგორც თავისი შვილი გულზედაც მიმიგრას ღ



ხარბად და მიგდოს უერი, მაგრამ მე შევიძლებკი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით უნუგეშოს ნუგეში მოვიყინო, მტრადს ცრემლი მოვწმინდო, მეშაკს შრომა გავუადვილო და ის თვითვეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ფოკელს კაცში არა ფოლავდეს, ერთად შევკავრო. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაკონის ღვიძლის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდევ, იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულის სიტყვას მამულის შვილი უურს უგდებს, განა მარტო უერთია, გუღითაცა, რომლისათვისაც დუმილიც გასაკონია; ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ იმიტომ რომ შვილის სიტყვა — მშობელს ფოკელთის ესმის, მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლავარაკობ, საქმე კა საქმეშია. შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქ? ვკითხე მე ჩემს თავს და ვაკერდი კიდევ, ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შექსწყვიტა ის შემოხსენებული ჩემი ფიქრების ფეხი და გრესილი.

— მართლა და რა უნდა ვქნა, ვკითხე ჩემს თავს ხმა მალლივ.

— ჩაი უნდა მიირთოვო, მიმასუხა სტანციის გუშაგმა, რომელმაც ამ დროს შემოიტანა სამოვა-

— ღი და ჩემს სტოლზე დადგა.

— ჩაი... .

— სამოკარი იმისთვის არ მიბძახეთ, მიმასხეს სულელმა გუშავმა და გავიდა გარეთ. არ გასულა ამის შემდეგ რამდენიმე წუთი, რომ კარი ისევ გაიღო და ერთმა აფიცერმა შემოიყვანა თავი. იმისი სახის მეტყველება ამეღაჟებდა, რომ ღვინობა და არაყის ძალიან დაახლოებით იცნობდა. თვალად ერთი ოცდაათის წლისას ჰგავდა, ზედ ეტყობოდა, რომ მკვლავრი არ იყო.

— ნება მომეცით, მითხრა მან რუსულად, გაცნოდ ჩემი თავი: მე გახლავართ შოტლანდიელი №, აქ ლარსში ვდგეკარ, როტა მახარია.

— ძალიან მოხარული ვარ, ვუძახეს მე, რუსულად წამოკუდრე და ჩამოკართვი გამოწვდილი ხელი.

— საიღამ მობძახდებით?

— მეტერბურგადამ.

— ფრიად სასიამოვნოა. ამ უდაბურს და კერძა ადგილას ერთი ეკ სიამოვნება მაქვს, რომ შეკვებები ხოლმე მკვლავრს განათლებულის ქვეყნიდამა. გაცნა, რომელიც გონებითა ესცხრობს, მოკალეს ღვთისა და ქვეყნის წინაშე, რომ შეკვდეს განათლებულს კაცს საბაასოდ გონების გასათხიზლებლად. დიდად მოხარული ვარ. ბასი ჰგვის საზღოა.



მიიხრა ეს ჭ კიდევ გამოძიწოდა ხელი, მკ  
ხელმეორედ ხელი ჩამოკართვი.

— თქვენ ვინა ბძანდებით, შეითხა მან.

— მე გახლავარ ერთის სომხის სოკდაგრის და-  
სლდარი.

— დასლდარიო!... თქვა ჭ ტუხეძი აიბრუწა.

— დიას, ბატონო!

ჩემმა ახალმა ნაცნობმა, რომ ეს გაიგონა, მუი-  
მ დიფკაცური სანახაობა მიიღო: მხრები მოიძარ-  
ჭვა, ის პირველად მორიდებული ლაშარაკი სსვა  
ქანგზედ შეჭსცვალა.

— საიღამ მოდისა-ა-ართ?! შეითხა გაკვირვებით  
ღ დაცინებითაცა.

— შეტერბურგიდამა.

— ჭმ, ჩაიცინა აფიცრმა: შეტერბურგიდამ. გა-  
ჩგია გლირსებიათ შეტერბურგის ნახვა. შეტერბურ-  
გი!... ძალიან კარგი ქალაქია, — თქვა ესა ჭ არსეი-  
ნად ჩამოვდა სკამზედ: შეტერბურგი!... ო, ო, დი-  
დი ქალაქია. შეტერბურგი!... ვრცელი ქალაქია!..  
არა ჭგავს თქვენ წიციან ქალაქსა. აბა რა ქალაქია  
თქვენი ქალაქი? ერთ თავიღამ რომ გადააფურთხო,  
ფურთხი ქალაქის ბოლოს დაეცემა. შეტერბურგი  
კი... ხომ გინახვოთ, შეტერბურგი? რუსეთის გუ-  
ლია. მართალია, აჭამდისინ მთელი რუსეთი ფიჭ-

რობდა, რომ მის გული მოსკოვია, მაგრამ მთელს რუსეთს მე განუფანტე ეკ ტრუ ღ უკუნური აზრი. მე მწერალი გასლავართ. გოსიკოთ, რომ მიცნობდეთ. ეგრე კი ნუ მიუერებთ. მე დავამტკიცე, რომ ზეტერბურგია მთელი რუსეთის გული. იზღერის ბალი ხომ გინახავთ?

დაკუგდე კი უერი ამ აფიცარს ღ გულში კა კუფიქრობდი, ხომ არ გაგიუებულა მეთქი, მაგრამ გარდა ამ გადარეულის ლაპარაკისა არა შეკატყერა.

— არა იზღერის ბალი გინახავთ, თუ არა? მკითხა კიდეკ იმან.

— ზეტერბურგის გულობა რით დაამტკიცეთ, კკითხე მე ღ არ მივეცი ჰასუსი მის უკანასკნელს კითხვაზედ.

— არა ჟერ მე მითხარით: იზღერის ბალი გინახავთ, თუ არა. თქვენ აქაურები, სამეკნიერო ლაპარაკს ჩკუდნი არა ხართ, ამიტომაც ერთი სავნიდამ მორეზედ გადახტებით ხოლმე. თქვენ ზედ-მიყოლებითი, რიგინი სჯა არ იცით, ეკ რასაკვირველია, გაუნათლებლობისაგან მოგდინთ. მკონი, თქვენ არც კი იცით რა არის ცივილიზაცია, ასოციაცია, არლუმენტაცია, ინტელიგენცია, კასსაცია ღ ფილოლოლია. მაგრამ ეკ არათერი, წარმავალია. თქვენც გაიწურ-

თსებით, მადლობა ღმერთს აფიცრობა & ჩინოვნი-  
კობა ბეკრი მოდის რუსეთიდან თქვენ განახათლე-  
ბლათ. არა, კერძო მითხარით, იზღერის ბალი გინა-  
სავთ, თუ არა. თუ ეკ არ გინახავთ, პეტერ-  
ბურგიც არ გინახავთ.

– მინახავს.

– გინახავთ? მას თქვენ განათლებულეში ფე-  
ხი ჩავიდვამთ. ფრიად მოხარული ვარ, ფრიად მო-  
ხარული ვარ. იზღერის ბალი? როგორი ბალია, ჰა!  
აი ფერებით სავსე სამოსსე ის არის, აი! ფერით-  
ბი ხომ იცით რა არის? ეკ სამეცნიერო სიტყვაა,  
იქნება არ იცოდეთ. ეკ მდებარედ რომა ვსთარგ-  
მნათ, იმასა ნიშნავს, რომ ის ბალი სავსეა ყუყუნა  
თვალეებან ქალეებითა. გინდა ერთს ჩაავლე ხელი,  
გინდა მეორეს. აი განათლებას რა შეუძლიან. თქვე-  
ნი ქალეი კი კაც დანახავენ თუ არა, იმადეებან.  
არა, პეტერბურგი... დიდი ქალაქია, ფრიად განათ-  
ლებული, & იზღერის ბალი განათლების კვირგვი-  
ნია, ასეთი ბალია, რომ «მწუ.»

ამ სიტყვაზედ მეცნიერმა აფიცარმა თითებ-  
ზედ იკოცა.

– მე იმედი მაქვს, რომ ეს სამოვარო ამ სტო-  
ღზედ თქვენთვის ჰსდგას?

– თქვენმა იმედმა. არ მოგატყუათ თქვენ.

– მე იმედი მაქვს, რომ თქვენ, როგორც გა-

ნათლებულის ქვეყნიდან მოხული კაცი, მკც მითავა-  
ზებთ ჩაისა?

— ზაღ მავ იმედს გავიმტყუნებთ.

რომინც, რასაკვირველია, ვკექნება?

— მაგაზედ ვი უკაცრავოთ.

— ეგ კერაფერი სიშანია. თქვენ სომეხი ხართ,  
თუ ქართველი?

— ქართველი.

— ძალიან ძიამა, რომ ქართველი ხართ. თუმი-  
ცა ჩვენი ლერმონტოვი ვი ამბობს, რომ *он же и  
русские евреи*, მაგრამ მაინც ქართველები ქ-  
ჯობიან იმ ზოიებსა. შაჰიროზები ვი, რასაკვირვე-  
ლია, ვექნებათ.

— გასლავსთ.

— იმედი მაქვს, რომ მითავაზებთ.

— დიდის სიამოვნებით. ინებეთ.

— აბა, მაშ თქვენ ჩაი დაახსით & მერე მოკ-  
ვეთ სამეცნიერო დაზარავსა. თუმიცა თქვენთვის  
ძნელი იქნება სამეცნიერო დაზარავის გაგება, მაგრამ  
მე შიგა & შიგ სამეცნიერო სიტყვებს მდაბიურად  
გითარგმნით & ამ რიგათ სამეცნიერო დაზარავის  
გაგებას გავიადვილებთ.

მე ჩაი დაახსნი & ერთი ჭიქა იმას დავუდგო, ჩაი

რომ ჰატარა მოსკა, გამოაბოლა ჰაპიროსი ჭ მოჭ-  
უკა ლაჰარაკსა.

— თქვენი ქვეყანა, მეცნიერის ენით რომ ვჭს-  
თქვა, განათლებული არ არის, ესე იგი, მდაბიურის  
ენით რომ ვჭსთქვა, გაუნათლებელია, ხომ გესმით?

— ძალიან კარგად.

— აკი მოგასხსენეთ, გაგიადვილებთ მეტქი სს-  
მეცნიერო სიტუკის გაგებასა. ასლა დავიწყეთ იქი-  
დამ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის,  
ესე იგი, გაუნათლებელია. ეს ხაი მოსკოვისა უნდა  
იყოს?

— არა, სტავროპოლში ვიყიდე.

— სულ ერთია. ასლა დავიწყეთ, როგორც წი-  
ლანა ვსთქვით, იქიდამ, რომ თქვენი ქვეყანა განათ-  
ლებული არ არის, ეგ იმასა ნიშნავს, რომ თქვენი  
ქვეყანა ბნელია. ხომ გესმით?

— დიახ, კარგად.

— ასლა რაკი იქიდამ დავიწყეთ, რომ თქვენი  
ქვეყანა განათლებული არ არის, ისიც უნდა ვსთ-  
ქვათ, რომ განათლებს არ არის. მე ამას მაგალი-  
თუბით ავისხსნით: წარმოიდგინეთ ბნელი ოთახი,  
წარმოიდგინეთ, თუ არა?

— წარმოვიდგინე.

— არა, იქნება სადმე ერთი ფანჯარა ღია და-  
გრხათ, ისიც დაკეტეთ.

— დაკეტეთ, გუპასუხე გი ჭ სიცილი მაძივიდა.

— ძალიან კარგი. რაკი ის ფანჯარაც დაკეთეთ,  
ფარდაც ჩამოათვარეთ.

— ჩამოვათვარე.

— რაკი ფარდაც ჩამოათვარეთ, ოთახიც დაბნე-  
ლდება, ველარა იერს დაინახავთ, უეცრათ შემოი-  
ტანეს სახთელი, განათლდა ოთახი. განათლებაც  
ეგ არის. სწორედ მოგასსენოთ, არც ეს ჰაპირო-  
ბია უწიგო. ჰეტეროურგადამ იქნება?

— სულ ერთია.

— ახლა ხომ გესმით განათლების მნიშვნელო-  
ბა?

— ძალიან კარგად.

— ახლა, რადგანაც ჯგისხენით განათლების მნი-  
შვნელობა, თქვენ უნდა ერთი რამა გკითხოთ, თქვენ-  
ში ცივილიზაცია როგორ მიდის?

— ძაგისას ვერას მოგასსენებთ; დიდი ხანია  
ჩემს ჰაყუნაში არა ვყოფილვარ.

— ეგ არა იყრი, მე ესლავ შეკითვობ რე-  
გორც მაღის: გენერლები გეყოლებათ თქვენ ქარ-  
თკედლებს?

— იქნება ერთი ოცაოდე მოგროვდეს.



— რაო, ოციოდუო!... ო, ო, ეგ დიდი ხაქ-  
მკა, — წამოქსოქა დიდის უოფით ჩვესმა მეცნიერმა  
აფიგურმა: ოციოდუო!... ამ ერთ მუჭა ხალხში ჭ  
ოცი ღეხერალი!... ეგ, ბეტონო, დიდი ცივილიზა-  
ცია გქონიათ. გერ უეურეთ. ოციოდუ ღეხერალი.  
არა მკერა. იქნება თქვენ, მეცნიერების ერთ რომ  
კვსოქვათ, დეისტვიტელნი სტაციის სოვეტიკებსაც  
მართალ ღეხერლებშია ქსოვლით, ესე იგი, მდაბი-  
ურის ერთ რომ კვსოქვა, იქნება სტაციის ღეხერ-  
ლებსა, ანუ, უფრო მდაბიურად რომ კვსოქვა, უეპო-  
ლეტო ღეხერლებსა, ანუ, ამასედ უფრო მდაბიურად  
რომ კვსოქვა, უელვამო ღეხერლებსაც მართალს  
ღეხერლებშია ქსოვლით? უთუოთ ეგრე იქნება.

— არა, თქვენმა მზემ, — დაუფიცე მეც: არა,  
თქვენმა მზემ, სულ მართალს ღეხერლებს მოკასხე-  
ხებთ.

— ოციოდ მართალი ღეხერალი! ბარაქალა,  
მართალ-მადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება!  
ხაცა ფებს შესდგამ, დაამუარებ ხოლმე ცივილიზა-  
ციას. სულ რამდენი წელიწადია, რაც რუსეთი  
ქ შემოვიდა?

— იქნება სამოცდა ათი.

— შვიდს წელიწადში ორი ღეხერალი! დიდი  
ხაქმკა, დიდი ცივილიზაცია არის. მერე როგორი



დენერალა?! მართალი დენერალი! თუ ღვთის ძალით თქვენში ცივილიზაციამ ეგრე იარა, სამოცდაათ წელიწადს უკან კიდევ ოცი დენერალი მოგემსტებათ ჰ სულ ორმოცა შეიქმნება. დიდი საქმეა. მე კვ არ ვაცოდნი. ან საიღამ უნდა შემეტეო? სულ არ იქნება სამი წელიწადი, რაც ამ ქვეყანაში ვარ. სწორედ მოგახსენათ, არც მოცლა მქონდა, რომ თქვენის ქვეყნისათვის მეცნიერი თვალი დამეკვირვებინა. მე ერთს დიდს საოსტატო საგანს გამოვიკვიდე, მრავალი ვიძიე, ისტორიები წავიკითხე ჰ ჩემი დრო სულ ამ სამეცნიერო საქმესედ გადავაკე. მაგრამ ცუდად არ წახდა ჩემი ღვაწლი, შთამომავლობა მოიგონებს ჩემს სახელსაცა.

— რა იმოქმედეთ?

— რა ვიმოქმედე! ადვილა სათქმელია. აი, ბატონო, რუსეთში მესატონეებს ეძეები ჩამოართვეს. მესატონეს ბიჭი აღარ შეჩა. მოქამაგირეს ანახარახ დარჩა. შეწუსდა ქვეყანა, მოქამაგირეებმა დაუწეეს ყოველფერ სახლში ჰარვა. მე, როგორც გულმტკივნეული შვილი, ჩავიფრდი ამ ჩემის ქვეყნის მწუნარებასედ, — ვჭხოქვი: ქვეყანას შველა უნდა-მეთქი. მაღლობა ღმერთს, ვუშველე კიდევ. ასეთი რამ მოვიგონე, რომ მოქამაგირეს სახლში ჰარვა აღარ შეუძლიან. ერთ უბრალო შემთხვევამ კი

მაპოვნინა წამალი. ჩემი დენშჩიკი თრიად დიდი  
 ქუჩა იყო. საშაქრეში შაქარს აღარ უშვებდა. გი-  
 თიქრე,-ვითიქრე, როგორ ვუშველო ამ საქმეს მეთ-  
 ქი. დავიწყე ყუთის დაკეტა, მაგრამ სან დაკეტა  
 დამავიწყებოდა სოლმე, სან გასაღები სტოლზედ  
 დამჩხებოდა სოლმე ჭ როცა სასლიდამ გავიდოდი,  
 დენშჩიკი შაქარს მომშარავდა. ბოლოს ავიღე, ორი  
 ბუზი დავიჭირე ჭ ჩავსვი საშაქრეში, თავი დავსუ-  
 რე ჭ არ დაკეტა კი. ახლა მკითხავ ჩისთვისა?  
 იმისთვისა, ამ თუ დენშჩიკი კიდევ შაქარის მო-  
 შარვას დააპირებდა, სომ ყუთი უნდა გაეღო. რაკი  
 ყუთს თავს ახდიდა, ბუზები მაშინვე ამოფრინდუ-  
 ბოდნენ. მერე როცა შინ მოვიდოდი ავხდიდი ყუთს  
 ჭ შიგ რაკი ბუზებს აღარ ვხახავდი, აშკარა იქნე-  
 ბოდა, რომ ყუთის თავი აუხდია ვისმეო. ვინ ახ-  
 დიდა. თუ არ ჩემი დენშჩიკი. რაკი ეს გამოვიგო-  
 ნე. მე დენშჩიკი შაქარს კელარ მშარავს. ესლა 'ყოველ  
 დღას ჩაის გავათავებ სოლმე თუ არა, ოთახში  
 ბუზებს ვიჭერ. დავიჭერ ბუზებს, ჩავსვამ შაქარის  
 ყუთში და მთელი დღე არსეინათ ვარ, ვიცი რომ  
 არავინ მომშარავს. როგორ მოგწონთ ჩემი აზრით?

იაფი ჭ ქურდობის უებარი წამალია. ეგ წამალი უკელათერში იხმარება, რასაც კი ჩვენს ოჯახობაში უუთში ვინახავთ ხოლმე. ეს აზრი ჭერ ანაკის-თვის არ გამიძღვანებია, მაგრამ თქვენი ქვეყანა ისე მიუყარს, რომ თქვენ ეგ კაცობით ჭ კთხოვთ თქვენც გაუნათლებელს მებატონეებს აცნობოთ. ერთი ეს არის, რომ არაყის ქურდობას ჭერ კერა უუშველერა. არაყის ბოთლშიაც კი ვცადე ბუჩების ჩასმა, მაგრამ ეგ წუეულები შიგ იხრჩობიან. მაგრამ მაგის წამალსაც მალე მოვიგონებ. არა, როგორ მოგწონთ ჩემი ოსტატობა? ფრანციელებსაც იციან ხოლმე მაგისთანა ეშმაკობების მოგონება, მაგრამ იმათი მამინების უიდვა ძვირია. ეს ჩემი ოსტატობა კი გროშიც არ დაჟდება. აბა რა არის ორი ბუჩის დაჭერა ჭ უუთში ჩასმა? დიდი არაფერი. აბა ეხლა ჩასეთ რა შედეგი ექმნება ამ ჩემ მოგონილ სჯემს: ეს ჩემი ოსტატობა რომ გავრცელდება, მაშინ შეიძლება რომ ბუჩების სეიდვა დაიწყო. აი ქვეყანაში ახალი აღეს მიცემობაცა გაჩინდება; ჩაივლით ერთს მძვენიერს დილას თ, კენს ქალაქში ჭ დანახავთ ბუჩების მალაზიასა. ცუდია

თუ? რამდენი მშვიერი კაცი ლუკმას იშოვის ბუზების მე-  
 ოხებითა. ეხლა კი ბუზები რანი არიან? არა თერი.  
 რის გამოხადეგნი არიან? არა ფრისა. აი მეცნი-  
 ერი ჭ ჭკვიანის კაცის ნამოქმედებსა ჭ ნაღვაწლს  
 რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. მე აქ  
 არ მოვდიოდი, თუმცა კი ბევრს მესკეწებოდნენ.  
 ჩემს გულში ვამბობდი: ღმერთს თუ სიჭი ძოუ-  
 ცია რამე ხემავის, ისევე ჩემებს გამოვადგე მეთქი:  
 მაგრამ ამ ახლად დაჭერილ ქვეყნებს უფრო განათლე-  
 ბა უნდა; აქ განათლებული კაცები ნაჭირონი არიან.  
 მას ცოტა ხანს მოიცადეთ, რა მოხდება. მე ხომ ზე-  
 ვით რომ ვწსთქვა ის მოვიგონე, ახლა სხვა ჩემისთანა  
 სხვას მოიგონებს, იქნება იმისთანა კაციც გამოვიდეს  
 რომ თქვენს ქალაქშიაც იზღერის ბაღი გამართოს:  
 მეცნიერი კაცინათვის უკუდადგერი შესაძლავა. ამ-  
 უოფითა მოელი შეტერბურგის განათლება აქ გა-  
 დმოვა. მაშინ ჩახავთ ერთს მშვენიერს დღეს, რომ  
 ხეირნობა გაიმართება იზღერის ბაღში, იმ ბაღში  
 თქვენი ქალები თამამად ხიარულს დაიწეობენ, კინ-  
 და ერთს უთხარ ღმერთი ჩირიძე, ა კინდა მეორეს,  
 ხმასაც არ გაგვემუნ. ამა სხლსი მაშინ დაინახავს

თავის სამოთხეს. როგორც მეცნიერნი იტყვიან, ესე იგი, სამოთხე რომ დაბიურადა ვესთქვათ... მაგრამ რა ვესთქვათ, მდაბიურადაც სამოთხე სამოთხეს. ხომ გესმით?

- ძალიან კარგად.

IV

იმ ხალხობს სტეფან წმინდის ამოკვდი. მშკენიერა ხალხობ იყო ასე, რომ იმდამეს იქ დაგინი. რათა თკალა გამკელა მშკენიერის სხასობის სიღვითა. ოხ, საქართველო!

«სხვა საქართველო ხად არის, რომელი ვეთსე ქვეყნის?»

ოთახიდან გამეთ გამოკვდი ჭ შვესელე სტეფან წმინდის პირ ჭ პირ აყუდებულს მფინვანსა, რომელსაც უაზობეგის მთას ეძახიან. დიდებული რამ არის ეგ მფინვანი. აბა მაგას შუეძლიან ჭსთქვას: ცა ქედათა მაქვსო ჭ დედა მაწა ქაღამნათაო. ცისა დავეარდხედ მოხანდა იგი თეთრად ჭ აუბღვრეკვლად. ერთი მუჭის ოდენი ღრუბელიც არა ჭვარავდა მის

მაღალს შუბლსა, მის უიხვით შეკვირვხდილს  
 თავსა. ერთად ერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვა-  
 ლე ზედ დახათიდა, ერთს ალავს გაჩერებული,  
 თითქო მუიხვარის დიდებულს სხსეს განუცვიფრე-  
 ბიაო. მუიხვარი!... დიდებულია, მეუღრო ჯ მშვი-  
 დობიანი, მაგრამ ცივია ჯ თეთრი. დასახვა მისი  
 მაკვირვებს ჯ არ მალელვებს, მაციებს, ჯ არ მათ-  
 ბობს, — ერთი სიტყვით, მუიხვარი, მუიხვარი მთე-  
 ლის თავის დიდებულებითა საკვირველია ჯ არა შე-  
 სხუვარებული. სა რად მინდა მისი დიდება? ქვეუნი  
 უაუანი, ქვეუნი ქარიშხალი, ქროლვა, ქვეუნი ავ-  
 კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთს მაღლვსაც არ  
 აატოკებს. მირი თუძცა დედა მიწაზედ უღვა, თა-  
 ვი ვი ცას მიუძქენია, განზედ გამღვანა, მიუქარე-  
 ბელია. არ მიუქარს არც მაგისტანსა სიმაღლე, არც  
 მაგისტანსა განზედ გადგომს, არც მაგისტანსა მიუ-  
 ვარებლობა. დალოცა ღმერთმა ისეკ თავზედ ხელ-  
 აღებული, გიჟი, გადარეული, შეუზოკარი ჯ და-  
 უმონავი მღვრთე თერგი. შავის კლდის გულიდამ  
 გადმომხკდარი მოდის ჯ მობლავის ჯ აბლავებს  
 თვის გარეშემოსა. მიუვარს თერგის ზარბანი ხე-



ლი, გამაღებელი ბრძოლა, დრტკინკა & კაი კავ-  
 ლახი. თურგი სასკა ადამიანის გაღვიძებულის ცხო-  
 ვრებისა; ამაღელვებელი & ღირს საცხოობი სასკენ  
 არის: იმის მღვრიე წუაღში ჩანს მთელი ქვეყნის  
 უბედურების ნაცარ-ტუტა. მუინკარი კი უკვდავები-  
 სა & განცხრომის დიდებული სასკა: ციკია რო-  
 გორც უკვდავსა & ჩუძია როგორც განცხრომა. არა,  
 მუინკარი არ მიუკარს, მით უფრო რომ მიუკარე-  
 ლად მალაღია. ქვეყნის ბედნიერების ქვა-კუთხეთი  
 კი უოკელთვის ძირიდან დაღებულა, უოკელი  
 შენობა დასლიდან ამაღლებულა, მალაღიდან კი შე-  
 ნობა არ სად არ დაწყობილა. ამიტომაც შე, რო-  
 გორც ქვეყნის შვილს, თურგის სასკე უფრო მამწონს  
 & უფრო მიუკარს. არა, მუინკარი არ მიუკარს: მი-  
 სი სიცივე სუსხავს & სითეთრე აბერებს. მალაღიო!  
 რად მინდა მისი სიმაღლე, თუ შე იმას კერ ავწვ-  
 დები & ის შე კერ ჩამომწვდება. არა, არ მიუკარს  
 მუინკარი. მუინკარი დაღებულს გატკის მაგონებს &  
 თურგი კი მრისხანე & შეუპოვარს ბაიროსსა. ნეტა  
 კი შენ თურგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსკე-  
 ნარი ხარ. აბა პატარა ხანს დადგე, თუ მურად



გზებზედ ან გ.რ.დაიქცე და ეკ შენი სხამაძარი სმაუ-  
როისა მყაყუბის ეყისხედ ან შეკრვალის. მოძინა-  
ობა და მარტო მოძინაობის ანის, ხეძო თერგო, ქვე-  
ყნის დინას და ხეგუნის მამრეძი....

\*\*\*



5 825  
1871